სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 ნოემბერი 2005 №263 (2586) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჭირვია!

სხვათა გოლები ჩვენს გულებზე გადის



წუხელ თბილისში ირდანიის ნაკრები ჩამოვიდა

ითამაშეთ ფეხბურთი!

კალაძე ბავშვების ელჩია

1949 წელს ჰერმან მაინერმა ავსტრიაში, ტიროლის პატარა ქალაქ იმსტში SOS ბავშვთა სოფლის მშენებლობა წამოიწყო და იქ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაობლებული ბავშვები დაასახლა, მათი მოვლა-პატრონობა კი თავად იკისრა.

მას შემდეგ საქველმოქმედო ფონდი გაიზარდა და დღეს SOS-KINDERDORF INTERNATIONAL-ს მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში აქვს აშენებული მსგავსი სოფლები, სადაც მშობლების ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს საუკეთესო პირობები გააჩნიათ იმისათვის, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ.

ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ფიფასთან და ყველა იმ ქვეყანაში, სადაც SOS სოფლები არსებობს, ფიფას თავისი ელჩი ჰყავს.

გუშინ თბილისის SOS ბავშვთა სოფელს, რომელიც 1997 წელს დაარსდა, საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე ესტუმრა, აღსაზრდელებს ავტოგრაფები ჩამოურიგა, მათთან ერთად ბურთიც გააგორა და საქართველო — იორდანიის ამხანაგურ მატჩზეც დაპატიჟა.

თუმც ამ ამბავში მთავარი მაინც ის არის, რომ კახა ამიერიდან ამ ბავშვების ელჩი გახდება ფიფასა და ქართულ SOS სოფელს შორის და უფრო აქტიურადაც ჩაებმება მათი დახმარების საქმეში.

ლადო ფულუკიძე

ვინ იქნება ხვალ დანია: საქართველო თუ იორდანია?
ხიზანიშვილი 50/50

ზურაბ ხიზანიშვილი

ლევსკური სირცხვილის მერე თბილისში დაბრუნებული გაიოზ დარსაძის სამწყსო ხვალ იორდანიის ნაკრებს უმასპინძლებს. არაბები წუხელ ღამით ჩამოფრინდნენ და სასტუმრო „მარიოტში" დაბინავდნენ.

საინტერესოა, რომ ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ბულგარეთიდანვე გაბრუნდნენ გერმანიაში, ნაკრების დანარჩენი წევრები კი თბილისში არიან და გუშინ შინაურ ბაზაზე დახურული ვარჯიშიც გამართეს. გადაწყდა, რომ იორდანიასთან ითამაშებს ალკმაარელი შოთა არველაძე, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილის ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია.

მეტოქე გუნდზე ჯალა-ბარაკი ბევრიც არაფერია. იორდანიელები მსოფლიოს გრანდებიან კი არა, აზიის მეტ-ნაკლებად წარმატებულ გუნდებთანაც ვერ მივლენ ახლოს და სტადიონზე მისული ქომაგს ალბათ საქართველოს ნაკრების გამარჯვების ხილვაც კი ეღირსოს...

ლადო ფულუკიძე

ვივატ, აკადემია!

სპორტის აკადემიის თასის გათამაშება წლეულს პირველად ჩატარდა, თაოსნები ამავე სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ.

ტურნირი 1 ნოემბერს დაიწყო, ფინალური შეხვედრა კი გუშინ გაიმართა. მონაწილეები ძირითადად თბილისის საფეხბურთო სკოლების 1993-94 წლებში დაბადებულ ბავშვთა გუნდები იყვნენ. გამონაკლისის სახით დაუშვეს 24-ე საშუალო სკოლა და კახა კავლაშვილის შეგირდებმა ფინალშიც კი გააღწიეს.

ფინალში „ოცდამეოთხელებს" ბლომად გულშემატკივარი ჰყავდათ, რომელთა შორისაც გოგონები სჭარბობდნენ. მათი მეტოქე კი საქართველოში ცნობილი 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი იყო და, რა გასაკვირია, რომ საბოლოო გამარჯვებაც „პროფესიონალებს" ერგოთ — „ოცდამეთხუთმეტელებმა" 7:2 მოიგეს, თუმცა პირველი ტაიმი ტოლსწორი გამოდგა.

მესამე ადგილი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" გუნდმა დაიკავა.

მედლების გარდა კი სხვადასხვა პრიზები გამორჩეულმა მოთამაშეებმაც მიიღეს.

ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი აბზიანიძემ გვითხრა, ეს ღონისძიება ბოლო არ იქნება და მომავალში ჩემპიონატი უფრო დაიხვეწება. წლეულს თუ მხოლოდ თბილისის გუნდები მონაწილეობდნენ, გაისად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც მოვიწვევთ ბავშვებს; გაწეული დახმარებისთვის კი დიდ მადლობას მოვახსენებ სპორტის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ დურმიშხან ჩიტაშვილს.

ლადო ფულუკიძე

საქართველოს ჩემპიონატი 17 პირველი ლიგა 14 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ამერი 2 4:1 ვიტ ჯორჯია 2

მესხეთი 1:0 დინამო 2

გურია 0:0 რუსთავი

ლოკომოტივი 2 0:2 გაგრა

მეშახტე 3:1 საგარეჯო

ზესტაფონი 2 1:0 ზუგდიდი

მეშაქრე 6:1 ლიახვი

ჩიხურა 4:1 თბილისი 2

მალაროელი 0:1 მერანი

ჩიხურა	14	11	1	2	45:17	34
მერანი	14	9	3	2	21:9	30
დინამო 2	14	9	2	3	26:8	29
მეშაქრე	14	9	2	3	27:12	29
რუსთავი	14	8	3	3	26:14	27
ამერი 2	14	8	1	5	23:14	25
გურია	14	7	3	4	25:15	24
გაგრა	13	6	4	3	18:12	22
მესხეთი	14	6	3	5	18:18	21
საგარეჯო	14	6	2	6	15:14	20
მეშახტე	14	5	5	4	16:11	20
ზუგდიდი	14	5	3	6	7:11	18
ლოკომოტივი 2	14	4	1	9	11:28	13
ვიტ ჯორჯია 2	13	3	3	7	9:16	12
თბილისი 2	14	3	3	8	14:27	12
მალაროელი	14	2	1	11	10:38	7
ლიახვი	14	2	0	12	12:39	6
ზესტაფონი 2	12	1	0	11	9:29	3

იტალია

სერია B. XV ტური

ბოლონია 0:0 მანტოვა

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XVI ტური

ბრესტი 0:1 ლორიანი

ინგლისი

ასოციაციის თასი. I ეტაპი. გადათამაშება

ვეიმუთი 0:2 ნოტინგემი

უორკესტერი 1:0 ჩიპენემი

ამხანაგური მატჩი

საუდის არაბეთი 1:3 განა

16 ნოემბერი 19:00 საათი თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი
FIFA
საერთაშორისო ამხანაგური მატჩი
საქართველო — იორდანია
GFF
Coca-Cola
გენერალური სპონსორი
კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
საქართველოს ეროვნული გუნდი უძლიერესი შემადგენლობით
ეს არის ევროპის წამყვანი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი
ბილეთის ფასი: 2,3 და 5 ლარი
3000 (სამი ათასი) ბილეთი უფასოდ გადაეცემათ საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებს
საინფორმაციო მხარდაჭერა:
ტელეკომპანიები: "იმედი", „საზოგადოებრივი არხი" "პირველი სტერეო";
რადიოები: "უცნობი", "მწვანე ტალღა";
გაზეთები: „სარბიელი", „ლელო",
„სპორტი", „მსოფლიო სპორტი", „24 საათი", „რეზონანსი"
FM 107.4
სარბიელი
ოლიმპი
24

geo_geo_fan@hotmail.com

რატომ გააუქმეს ეთიოპიის საფეხბურთო ნაკრები

გუშინაც გითხარით, გულშემატკივართა წერილები ბლომად მივიღეთო და, აგერ, ჩვენი ფოსტაც.

რომ იტყვიან, რასაც ველოდით, ის მივიღეთ — ქართველი ქომაგი სოფიური სიტყვა „აღშფოთებული“ ამას სრულად გამოხატავს...

რომ იტყვიან, რასაც ველოდით, ის მივიღეთ — ქართველი ქომაგი სოფიური სიტყვა „აღშფოთებული“ ამას სრულად გამოხატავს...

დანარჩენი კი თავად ნახეთ და, თუ სურვილი გაქვთ, კვლავაც მოიწერეთ...

MEZVRO: რაღა უნდა თქვას კაცმა, დავიღალეთ, ძაან დავიღალეთ. გაიოზ წადი რა, წადი. სულ ნუ დაგვიხეთქეთ გულები, ისედაც მუდმივად გატანჯულ ხალხს. რა ვქნა, ამ ხალხის გადამკიდემ ფეხბურთი როგორ გადავიყვარო. და მარტო ფეხბურთი ხომ არაა, ქვეყნის სახელი ილახება...

BEKA: გამარჯობათ. ამ წუთში 4:0-ია. შეიძლება კიდევ დაგვიმატონ, შეიძლება უკვე მობეზრდათ კიდეც. სტოიჩკოვმა ასე თუ მოთამაშეობისას ვერ გაგვანადგურა, მწვრთნელად ყოფნისას კი. არა მგონია, მაშინდელზე ძლიერები იყვნენ ბულგარელები. ჩვენ კი დარსაძე გვყავს (საერთოდ კტო ეტოტ პასტრადავში დარსაძე? ხომ ვერ გვეტყვით, ატკუდა ონ პრიშოლ ი კუდა ონ იდიოტ, ნიკტო ნი პანიმაეტ!!!) კიდევ დიდხანს გვეყოლება? ნუთუ ძოძუაშვილი ასე ხელწამოსაკრავი ფიგურაა, რომ ერთხელ მაინც რეალური (!) შანსი არ ეკუთვნის? რა ხმებიც არ უნდა დადიოდეს მასზე, უფრო ძლიერი მწვრთნელი ამ მომენტში არ გვყავს — ეს ფაქტია. და ჩვენს ღრმად პატივცემულ ფედერაციის პრეზიდენტს ურჩევნია „მოდას“ არ აჰყვეს — ძველები ასე ადვილად არ დაივიწყოს. ამას თავიდან არველაძის „დავიწყებაც“ ადასტურებს, მერე კი მიხვდა, რომ უკეთესები ნამდვილად არ გვყავს და დააბრუნა. ბევრი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია...

გოლი! 5-0. თუ ასე გაგრძელდა, ქართულ ფეხბურთში მალე ალბათ შესარჩევების კენჭისყრასაც ჩვენთვის აზრი დაეკარგება (თუ უკვე დაკარგული არ აქვს, თუკი დარსაძე დარჩა).

ZIZI-TOP: ვენაცვალე „სარბიელს“! ჯიგრები ხართ. თქვენ, რომ არ იყოთ, საერთოდ არ გავეკარებოდი ქართულ ფეხბურთს. დღევანდელ გაზეთს საგულდაგულოდ შევინახავ და უახლოეს თამაშზე გაიოზას ტრიბუნაზე გამოვუკიდებ. ასე გააგრძელეთ ბიჭებო და იქნებ გადავაყენოთ ეგ ვითომ მწვრთნელი!!!

დარსაძე წადიიიიიიიიიიიი

RINO: ყოჩაღ სარბიელელებო! ველოდი, რომ საკადრისად გამოეხმაურებოდით. ბატონ კობა ინასარიძეს მინდა მივმართო: აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას. თქვენ პირველად აიმაღლეთ ხმა საჯაროდ და ჩვენი, გულშემატკივრის სათქმელი პირდაპირ დაწერეთ — ბატონო გაიოზ, წადით!!! არ არის ნაკრების მწვრთნელობა თქვენი საქმე. მე საერთოდ ეჭვიც კი მეპარება, კურსებს რომ უტარებთ ქართველ მწვრთნელებს, თეორიულად იმას ასწავლით, რომ პრაქტიკაში გამოიყენონ, როგორ უნდა წააგოს გუნდმა 1:6, 2:6... მომავალში როგორაც გავთახსირდებით, ამის წამიერად გაფიქრებაც კი მზარავს.

ნუთუ მართლა ვერ გაიგეთ, ან არ გინდათ გაიგოთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი საქართველოსია და არა ფედერაციის, ახალკაცის, დარსაძის და მისთანების. გეყოთ თვალებში ამდენი ნაცრის ყრა, თუ ადრე ის ქართველი ვაიგულშემატკივარი სტადიონზე ბოთლებს, დანებს თუ ბოქლომებს ფეხბურთელების მისამართით ისროდა, დარწმუნებული ვარ, ახლა იორდანიასთან მათ სამიზნეში თქვენ იქნებით და ეგებ, ცნობილ ანდაზას, სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო, გამართლება ჭეშმარიტად ჰქონდეს. სახელი ხომ საქვეყნოდ გაქვთ გატეხილი. რა დარჩა?

MOREIRAZE: გაიოზი ის მეფეა, შიშველი რომ აღმოჩნდა და ბავშვმა რომ იყვირა, მეფე შიშველიაო. ეგეთი მეფეები ნანახი გვყავს და ბავშვმაც დიდი ხნის წინ დაიყვირა. ჰო, ეგრეა, ადრეც ეგრე იყო. მერე ის კაცი მოვიდა და ყველამ ხმა ამოიღო. და ძველები წავიდნენ. არც არაფერი შეცვლილა. გაუარესდა მგონი.

ეჰ, მორეირა, ზევ...

KAKICH: ბევრი წერილი მოუვა „სარბიელს“ მაილზე. უბრალოდ, რომ არ დამეწერა, არ შემეძლო. მოკლედ, გამოვთქვამ ჩემს აზრს, რომელიც ალბათ ბევრისას დაემთხვევა. დარსაძის ნაგლობის დონე ყოველგვარ ზღვარს სცილდება! დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრებმა 0:10-იც რომ წააგოს, ახალკაცი ავანტიურისტ გაიოზას არ მოხსნის, იმიტომ, რომ ეგენი ერთი გუნდის (ბანდის) წევრები არიან და დარსაძე ერთ-ერთი ატამანია. კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენი, გულშემატკივრების აზრი მათ სულ ფეხებზე ჰკიდიათ და მეტი არაფერი! სიმართლე გითხრათ, მოსაბეზრებელი ხდება სულ უარყოფითი წერილების წერა, ისე, ალბათ, არც უნდა გვიკვირდეს, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთ, ზუსტად ისეთივე ფედერაცია და ნაკრები გვყავს. როგორ შეიძლება, გუნდმა ზედიზედ წააგოს დიდი ანგარიშით და შენ კიდევ კმაყოფილი იყო კონკრეტული ფეხბურთელებით და შედეგით. და ამბობდე, რომ ყველაფერი გეგმიურად მიდის და წარმატებებიც იქნება. ისე, თუ დააკვირდით, ნაკრებს თამაშიდან გოლი არ გაუტანია დარსაძის ხელში — ან კუთხურიდან გააქვს, ან პენალტით. არ მჯერა, რომ აქ ვილაცების ინტერესი არ დევს, რატომ ინვევენ მხოლოდ „ზესტაფონის“ ფეხბურთელებს და არა, ვთქვათ, „ვიტ ჯორჯიის“ ან „ლოკომოტივის“, იმათმა რა დააშავეს? არ არიან განუგრავა, რევიშვილი და ნინამძღვრიშვილი სანაკრებოდ ჩამოყალიბებული ფეხბურთელები! ნაკრებში დარსაძე და ახალკაცი მხოლოდ პირად ინტერესებს აყენებენ მაღლა და მეტს არაფერს. ვერავინ დამაჯერებს საწინააღმდეგოში. ახალკაცის ინტერვიუში, რომელიც პარასკევს დაბეჭდეთ, ჩემი კითხვებიც იყო და მათზე ცინიკური პასუხები მივიღე. ახალკაცი დარწმუნებულია, რომ მის ხელში ნაკრები და ფედერაცია წარმატებას მიაღწევენ. გჯერათ? პირადად მე არა! იორდანიის ნაკრებს რომც მოუგონ, მაინც არ მჯერა. იმიტომ, რომ იორდანიული ფეხბურთი სერიოზულ ძალად არ მიმაჩნია.

ZURA: წავაგეთ და ვიტყვით, ქართულ ფეხბურთს შავი დღე გაუთენდაო. შავი დღე ვის არ დადგომია, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით გადაუტანია. ჩვენ კი ჩამოგვიბნელდა, კარგა ხანია ბნელა და ამ წკვარამის გამტეხველი ცეცხლიც გაგვიქრა. ბნელა და არც ვინმეა, კვესს აბედი გაჰკრას, ნაპერწკალი გააჩინოს და წყდიადის უძლეველი სინათლე გვაჩუქოს. ეტყობა, ასეთ საჩუქარს არ ვიმსახურებთ. რისი ღირსიც ვართ, განგებაც იმასვე მოგვაგებს. საქართველოში ცოტა ფიქრობს, უფრო ნაკლები შრომობს და ბევრი ჭამს. ამიტომაც გვაქვს საქმე აწყობილი. ფეხბურთი არ არის მარტო 22 ფეხბურთელის აღმა-დაღმა ბურთის დევნა, ის მოედნის გარეთ ათასგვარი წვრილმანი თუ მსხვილმანი ორგანიზაციული და სხვა საკითხების სწორად წარმართვით იწყება.

P.S: ეთიოპიამ ნაკრები გააუქმა, გვარცხვენსო... ეს დიდი ხნის წინათ იყო, საქართველო დამოუკიდებელი ჯერაც არ გამხდარიყო!!!

DKANDELAKI: წავაგეთ ბულგარეთთან! ამაში საკვირველი არაფერია უკვე. ბატონმა ნოდარმა ბრძანა, დარსაძის გადაყენებაზე ფიქრიც ზედმეტია, იმაზე ვფიქრობთ, როგორ გავიდეთ ევრო-2008-ზეო. ამ გუნდით და ამ თამაშით ღამე თუ გადავიპარებით, თორემ დღე რა გამოსაჩენები ვართ. ყოველი კრახის შემდეგ ვიმუქრები, ნაკრების თამაშზე აღარ წავალო, მაგრამ მერე მახსენდება, რომ ჩვენი მკვდარი ჩვენივე სათრევია!

გავიფიქრე, რა აზრი აქვს ამ წერილის დაწერას, მაგრამ მე ჩემს სიტყვას ვიტყვი და ავასრულებ, თამაშებზეც მოვალ დროშით ხელში. თქვენ კი, გაიოზ, სულ ამ ლიცენზიებსა და თეორიებს რომ გაიძახით, დრო, გადახვიდეთ პრაქტიკულზე და შეკრათ გუნდი...

BOBAH-GEORGIAN: გამარჯობა „სარბიელს“, როგორ გრძნობთ თავს მორიგი სირცხვილის მერე? მე, გმადლობთ, კარგად. რასაც მოველოდი, ის მივიღეთ... არც იმედგაცრუებული ვარ და არც გაბრაზებული... შოფერმა მიგვაჩვია უკვე იმას, რომ საქართველოს ნაკრები ბოლო დროს ევროპაში ყველაზე სამარცხვინო წაგებებს იმკის, ასე არც სან მარინო აღარ აგებს, არც ფარერები და მისთანა ჯუჯები... ჩვენი ნაკრები ჯუჯაც აღარ არის, ნაკრები უბრალოდ მკვდარია და...

თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და, გახსოვთ, რა თქვა ჯუნიორმა მატჩის წინა დღეს? „დარსაძე მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შესანიშნავად ართმევს თავს... ის აკეთებს ყველაფერს, რაც აუცილებელია ნაკრების წინსვლისათვის“. სარბიელელებო, თქვენ თქვენი საქმის პროფესიონალები ხართ, მე ვერ ვხვდები, ასეთი კომენტარები რამ გამოინვია, იქნებ თქვენ ამიხსნათ, რას აკეთებს ამისთანას გაიოზი, გარდა იმისა, რომ დაინტერესებულია ზესტაფონელი ფეხბურთელების გაყიდვით და გამუდმებით გვარცხვენს საერთაშორისო ასპარეზზე?

ანდა ამ გამოცდილი შოფრის (და არა მწვრთნელის) ბულგარეთის მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე პერსპექტივაზე საუბარი რა იყო?

კიდევ ერთ ციტატას მოვიყვან თქვენი ნებართვით: „ჩვენს თამაშს დადებითი მომენტებიც ახლდა... მაგრამ უხეში შეცდომების გამო, გამანადგურებელი ანგარიშით წავაგეთ...“ აქაც ვერ გავიგე, რაზეა ლაპარაკი? საქართველოს ნაკრები დღესდღეობით ნულია, ნულიც კი არაა, მინუსებში ვართ.

ხომ იცით, ყველაფერი ფარდობითია ამ ქვეყანაში და, ახლა ჟირესის ფორმაციის ნაკრები ტოპ-კლასის გუნდად მეჩვენება იმასთან შედარებით, რაც დღეს გვყავს.

არანაირი ტექნიკა, არანაირი ჟინი, არანაირი ხალისი, არაფერი!!!

ჩემთვის საქართველოს ნაკრები არ არსებობს. იმიტომ კი არა, რომ ზურგი ვაქციე გაჭირვებულ ჟამს, არამედ, იმიტომ, რომ ასე უბრალოდ არ შეიძლება, ინერვიულო და ვალერიანი სვა იმის გამო, რომ ფედერაციის და ნაკრების სათავეში იურისტი და შოფერი დგანან!!!

დღესდღეობით ლოცვაღა დაგვრჩენია, ღმერთო შეგვიწყალე!!!

AKHITIRI: ბატონმა ნოდარ ახალკაცმა ნიკა ქავთარაძის შოუში საკუთარ თავზე იხუმრა: არგენტინელები ბრაზილიის (თუ პირიქით) ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეობას მთავაზობენო, მერე დაფიქრდა, ეტყობა, მიხვდა, რა თქვა (რა კეთილგანწყობილია ეს ორი საფეხბურთო სამყარო ერთმანეთის მიმართ), შეიშმუშნა, ვითომ-ცდა არაფერიო და, განაგრძო საქართველოს ნაკრების აღმშენებლობაზე საუბარი.

სიცილი, დაცინვა, დაცინვა და დაცინვა, რომელიც დღემდე გრძელდება და იორდანიასთან თამაშის მერეც გაგრძელდება. და ეს იქნება მანამ, სანამ გაიოზ დარსაძე გვეყოლება საქართველოს ნაკრების მწვრთნელად.

AKA: გაუმარჯოს „სარბიელს“ და ამ რუბრიკას, რომელიც აგრერიგ გვიყვარს იმიტომ, რომ მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩვენი აზრის გამოხატვა.

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, რაღაც მომენტში ქართველი ქომაგის ბრალიცაა, იმიტომ, რომ ჩვენ ხმა არ ამოვიღეთ იმაზე, როცა პრეზიდენტობის კანდიდატებმა მიყოლებით მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები და გზა დაუთმეს „დიდ პროფესიონალსა და ფეხბურთის უბადლოდ მცოდნე“ ნოდარ ახალკაცს. კაცს, რომელსაც ფეხბურთის გარდა ყველაფერი ესმის! რატომ მოვიქეცით ასე? რატომ არ ამოვიღეთ ხმა? რატომ მივეცით უფლება, ასე იოლად გამხდარიყო იგი ფეხბურთის „მამა“? რა ჰქონდა მას გაკეთებული ისეთი (იმის გარდა, რომ ცხონებული ნოდარ ახალკაცის შვილია)? ამით არც არაფერი შეიცვალა, მაგრამ საკუთარ თავთან ვიქნებოდით მართლები, უსამართლობის წინააღმდეგ გვექნებოდა პროტესტი გამოხატული.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ჰოდა, დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში.

geo_geo_fan@hotmail.com

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **პირველი წრე** — **13 ტური**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბენერალური სპონსორი

ტურნირის ფოტოები

სპარტაკელთა გოლს ბოლნისელმა მცველებმა და მეკარემ თვალიღა გააყოლეს

„სიონის“ თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი ნამატჩევს შეუძლოდ გახდა

მესამე მეცამეტეში

ვისთვის იღბლიანი, ვისთვის თარსი

თბილისი. 14 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი. 800 (ტევადობა 1 500)

სპარტაკი 1:1 სიონი

1:0 მალიჩავა (36), 1:1 დოლიძე (70)

დვალმა ვერ გაიტანა პენალტი (78, მეკარე)

სპარტაკი: ღაბაძე, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, ელიზბარაშვილი, ა. იმნაიშვილი (ურუშაძე 46), კოტრიკაძე, მალიჩავა, ტაბიძე, ო. დემეტრაძე (ჯანელიძე 89), კობალაძე (დონდოლაძე 77), ღუჭაშვილი
სათადარიგონი: დანელია, მაღლაფერიძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, ჩიკვილაძე (ქარდავა 46), ლ. მერებაშვილი, დოლიძე (კვიტაიშვილი 78), ხმალაძე, ქუცურუა, დვალი, მიკუჩაძე, ბოლქვაძე
სათადარიგონი: გაგაშელი; ჩაჩუა, ავალიანი, ბაჯელაძე
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

გაფრთხილება: დემეტრაძე (25), კობალაძე (60), ბოლქვაძე (62), ბობღიაშვილი (82)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ა. ნონიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

დავით თავართქილაძე

ბოლნისის „სიონმა“ მნიშვნელოვანი ორი ქულა კი დაკარგა „შევარდენზე“, თუმც ამ ფრით ერთი დღით ჩამორთმეული მეორე ადგილი დაიბრუნა.

სიონელებმა ეს ფრე ძალიან განიცადეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ სერიოზულად ფიქრობენ ჩემპიონობაზე. თბილისის „სპარტაკს“ კი მიმდინარე ჩემპიონატის თორმეტ ტურში თექვსმეტი გუნდიდან ყველაზე ცოტა, მხოლოდ ორი გოლი ჰქონდა გატანილი და გუშინ მონაგარი გაასამ.

ისიც ვთქვათ, რომ „სპარტაკის“ დამრიგებელი გიგლა იმნაძე ადრე „სიონსაც“ ხელმძღვანელობდა, რაც მატჩის ინტრიგას აძლიერებდა.

„სპარტაკი“ მართლაც ვლადიატორივით იბრძოდა, ხოლო მისი ცენტრფორვარდი ვასილ ღუჭაშვილი გამორჩეულად ირჯებოდა და „სიონის“ დაცვას გამუდმებით დაძაბულობაში ამყოფებდა.

ძიგძიგი და ჯაჯგური უფრო იყო, ვიდრე კომბინაციური თამაში და ასეთი პირველი ტაიმი „სპარტაკმა“ მოიგო — ირაკლი მალიჩავამ ფლანგური ჯარიმა შეასრულა, მაღალი ბურთისთვის ღუჭაშვილი ახტა, ვერ შეეხო მას, მაგრამ ამან „სიონის“ მეკარე და დაცვა დააბნია და ბურთი მათ ბადეში გაეხვა.

და მეორე ტაიმი, გახელებული „სიონის“ შეტევებით და ორი არჩათვლილი ბურთით — ჯაჭა დვალის და დავით ბოლქვაძის ვოლები მსაჯმა გააუქმა, თამაშგარე იყოო, რასაც ბოლნისელ გულშემატკივართა გაცეცხლება მოჰყვა და...

მავთულღობევ, დაილოცოს შენი მომგონი! ინციდენტი ოდენ ბილწსიტყვაობით შემოიფარგლა, „სიონი“ კი შმაგად უტევდა და მეშვიდე იერიშების ჯერიც მიაყოლა.

მაგრამ არც „სპარტაკი“ და ღუჭაშვილი იყვნენ უქმად — ღუჭაშვილის პასით ურუშაძე ბობღიაშვილთან პირისპირ გავიდა, მეკარის გაცურება მოინდომა, მაგრამ ბობღიაშვილი მინდორზე კარგად გაიწვართა და ხელით აწაპნა ბურთი.

...„სიონი“ ვერ ცხრება, ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გუნდთან წაგებას ვერაფრით ეგუება, ბოლქვაძის პასით გრიგოლ დოლიძე მარჯვნიდან შეიჭრა „სპარტაკის“ საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით მეკარისგან ახლო კუთხეში მოათავსა ბურთი — 1:1. რამდენიმე ბოლნისელი ქომაგი მავთულღობეს შეახტა და ემოციებისგან ასეთნაირად დაიცალა.

გავიდა რვა წუთი და ბოლქვაძემ ამჯერად 11-მეტრიანი მოინადირა — დვალის დარტყმული ღაბაძემ მოიგერია, დამატებაზე კი ქარდავამ 2-3 მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი.

„სიონის“ კიდევ ერთი შანსი — ქუცურუამ კარგად ჩააბზრიალა ბურთი მეკარის ბაქანთან, მაგრამ ქარდავამ ახლოდან კვლავ უხეიროდ მოიქნია ფეხი.

არბიტრმა ოთხი წუთი დაამატა მატჩს, მაგრამ „სიონი“ უკვე დაწრეტილი იყო.

პრესკონფერენცია

გიორგი ყოფშიძე, „სიონის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე: მეტოქეს ფრეს ვულოცავ, „სპარტაკი“ ახალგაზრდული გუნდია და ჩვენს შეტევებს ბოლომდე გაუძლო, სპარტაკელთა ბრძოლისუნარიანობა მართლაც აღსანიშნავია, მსაჯობთ კი უკმაყოფილონი ვართ.

გიგლა იმნაძე: ჩვენ ყველა თამაშში ვიბრძვით და ასე იყო დღესაც. გამოცდილება და კლასი გვაკლია, თორემ ბრძოლისუნარიანობა არ დაგვეწუნება. ისიცაა, რომ ილბალი დღეს ჩვენს მხარეს იყო.

ზესტაფონი. 14 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 3:0 კოლხეთი

1:0, 2:0 იონანიძე (35, 40), 3:0 იმედაძე (55)

დ. ნარსიამ ვერ გაიტანა პენალტი (74, მეკარე)

ზესტაფონი: ქვაჩახია, ძამსაშვილი, ს. თოდუა, ბესარაშვილი, კ. ჩხეტიანი, ნუდნი, ბ. ნოზაძე, გ. თურმანიძე (მ. დაუშვილი 86), გოგი ფიფია, იმედაძე (რ. კვირნაძე 56), იონანიძე (დ. ჯანელიძე 79)
სათადარიგონი: ბზიკაძე; ბენაშვილი, ივანიშვილი
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

კოლხეთი: ლატარია, ყურაშვილი (სამსეიშვილი 29), დ. ნარსია, ფარულავა (ლოლუა 46), გოგენია, ა. ნარსია (წიქარიშვილი 43), ქუტიძე, ვართაგავა, ზ. რაზმაძე, კრასოვსკი, ზ. ჯანაშია
სათადარიგონი: ბათიაშვილი; თურქია, გ. სახოკია, ჩიქობავა
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: ფარულავა (18), თოდუა (42), ლოლუა (63), ქვაჩახია (74)

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (ტულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ინსპექტორი: ს. კვარაცხელია; **დირექტორი:** გ. თავაძე

იონა 177

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

ფოთელები ზესტაფონს შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ — ჯონი შალამბერიძე და ზვიად ქუთათელაძე ტრავმების გამო აკლდათ, ედიშერ მარგალიტაძე კი დისკვალიფიცირებული იყო.

ჰოდა, თავიდანვე იოლი გამოსაცნობი გახდა, რომ მასპინძლები სამ ქულას მოიპოვებდნენ.

პირველი საგოლე შანსი ზურაბ იონანიძეს მიეცა, მაგრამ მან თავით ბურთი კარს გადაავლო. 22-ე წუთზე გიორგი თურმანიძემ შორიდან გაისროლა და ლევან ლატარიამ ლამაზი ნახტომით იხსნა კარი.

„ზესტაფონი“ თვალშისაცემ უპირატესობას ფლობდა და მალე ეს გოლებშიც გარდასახა. სერგეი ნუდნიმ გრძელი გადაცემით იონანიძე პირისპირ დატოვა მეკარესთან — „იონამაც“ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და 1:0.

მანვე მალე დუბლიც მიითვალა — ზურაბ ძამსაშვილმა მარჯვენა ფრთიდან ჩაჰკიდა, ლატარია გამოსვლაზე შეცდა, იონანიძემაც იხეირა და თავისი 177-ე გოლი გაიტანა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში — 2:0.

მეორე ნახევარშიც იგივე სცენარი იყო: „ზესტაფონი“ უტევდა, „კოლხეთი“ თავს იცავდა.

მესამე გოლი ფოთელთა კარში გია იმედაძემ გაიტანა, ისევ ძამსაშვილმა ჩააწოდა და ზესტაფონელმა ფორვარდმა ლამაზი თავური შეაგდო — 3:0.

მალე იონანიძეს ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, მოხდენილად ჩამოიცილა მცველები, მაგრამ კარს ვეღარ დაუმიზნა.

ეს იყო და, ზურაბ ქვაჩახიამ ფოთელი ლოლუას გაპამპულავება მოინდომა და დაისაჯა კიდეც: თავდამსხმელმა ბურთი აწაპნა და მეკარეს წესის დარღვევის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. პენალტი დავით ნარსიამ დაარტყა, მაგრამ ქვაჩახიამ ბურთი მოიგერია და შეცდომაც გამოასწორა.

მატჩის ბოლოს გოგი ფიფიას შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი ხარიხას ვაარტყა...

სანამ პრესკონფერენციაზე გეტყოდეთ, მანამდე ზესტაფონელია ყოფილ თავკაცზე ვთქვათ — თეძურ მახარაძემ გვითხრა, რომ მას შვებულება 15 ნოემბერს უმოავრდება და ამის შემდეგ დაუბრუნდება გუნდს.

ანდრეი ბოლდინი

ზურაბ იონანიძე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების მთავარმეგოლეა

პრესკონფერენცია

სოსო ფილია: ვულოცავ მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას. ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და ამიტომ შედეგი ლოგიკურია.

კობა ჟორჟიკაშვილი: ბოლო ოთხ თამაშში პროგრესი გვეტყობა. გასაგებ მიზეზთა გამო ფეხბურთელები ჩვენც გვაკლდნენ — განუგრავა, ღონღაძე, გოცირიძე...

მთლიანობაში კმაყოფილი ვარ.

ვიტ ჯორჯია	13	10	2	1	30:9	32
სიონი	13	9	2	2	24:11	29
დინამო	13	9	1	3	21:7	28
ამერი	13	9	1	3	15:8	28
ბორჯომი	13	9	0	4	24:10	27
ლოკომოტივი	13	8	3	2	18:5	27
ზესტაფონი	13	6	3	4	13:11	21
ბათუმი	13	6	2	5	13:12	20
კოლხეთი	13	6	0	7	13:16	18
დილა	13	5	1	7	17:16	16
კახეთი	13	5	0	8	13:20	15
ცხინვალი	13	3	2	8	9:23	11
სოხუმი	13	3	1	9	14:31	10
ტორპედო	13	2	4	7	8:14	10
სპარტაკი	13	1	2	10	3:21	5
თბილისი	13	1	0	12	8:28	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიქსონი აქებს

ინგლისის თავდასხმა დიდებულია

სვენ-გორან ერიქსონი (მარცხნივ) უეინ რუნის იმედზეა

ჟენევაში არგენტინელთა ძლევის შემდეგ, ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა დიდად შეაქო თავისი თავდასხმის წყვილი: მაიკლ ოუენი-უეინ რუნი.

ოუენმა იმ თამაშში ორი გოლი გაიტანა, რუნიმ კი ერთი.

„დიდ თამაშებში ოუენი ყოველთვის ძალიან მაღალ დონეზე თამაშობს — თქვა შვედმა — რუნი კი მხოლოდ 20 წლისაა და საოცარი ფეხბურთელია. მას დიდი გავლენა აქვს თამაშზე. მისგან ბევრს სწორედ ზაფხულში ველით. რუნის ყველაფერი გამოსდის, ცენტრალურ მცველებსაც კი უგებს საჰაერო ბრძოლებს. ეს დიდებულია. მაიკლზე რა გითხრათ? თუ სამი შანსი აქვს, ორი გააქვს. სწორედ ეს არის მისი საფირმო ნიშანი. რაც შეეხება პიტერ კროუჩს, პოლონეთთან მას ფანებმა უსტვინეს მგონი, ახლა უნდა მოუბოდიშონ, რადგან არგენტინასთან აჩვენა, რომ თავდამსხმელის განსაკუთრებული ტიპია.

რაც შეეხება არგენტინასთან თამაშს, ინგლისში ასეა მიღებული, რომ ამ გუნდთან ამხანაგური თამაში არ არსებობს. მგონი, არც არგენტინაში. ამიტომ, მოგება ორივეს გვინდოდა. გამარჯვება კი საკუთარ ძალებში დარწმუნებისთვის არის კარგი.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ იმ გუნდების ხუთეულში შევდივართ, ვისაც მსოფლიო თასის მოგება შეუძლია".

ირაკლი გამყრელიძე

მალდინი 2007



პაოლო მალდინი კიდევ წელიწადნახევარი ითამაშებს, მერე კი...

„კარიერას 2007 წლის ვაზაფხულზე დავასრულებ, როცა ჩემი კონტრაქტის ვადა ამოიწურება — თქვა „მილანის" ლეგენდამ — ფეხბურთის ცამაში ჯერ კიდევ მიხარია. ვარჯიშზე კვლავაც ბოლომდე ვიხარჯები და ამ მაისურასაც ისე მივეჩვიე, რომ განშორება მიჭირს. ვერ წარმომიდგენია ფეხბურთის კარეშე ცხოვრება. მსურს, მუდამ ფორმაში ვიყო".

მალდინიმ სამი წლის წინანდელი ამბავიც გაიხსენა: „მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თავის კლუბში გადასვლა შემომთავაზა, მაგრამ „მილანს" ვერ ვუღალატე".

მოგეხსენებათ, „მილანის" მცველი ნაკრებს კორეა-იაპონიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობა. „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში სარეკორდო, 126 შეხვედრაში ითამაშა.

მისი დებიუტი სერია A-ში 1985 წელს შედგა, მან დინო ძოფის რეკორდი გააუმჯობესა, 20 სეზონში 571 მატჩი მიითვალა.

ახლა პაოლო მალდინი 37 წლისაა და „ოქროს ბურთის" კანდიდატთა შორის ერთ-ერთი ფავორიტია.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ 50 რჩეულს შორის მოვხვდი, მაგრამ ვფიქრობ, გასული სეზონი ჩემ კარიერაში საუკეთესო არ ყოფილა. „ოქროს ბურთი" იმ ფეხბურთელებს ეკუთვნით, რომლებმაც სეზონში რაიმე ჯილდო მოიგეს" — განაცხადა მილანელმა.

გითხარით, მალდინი 2007-ში დაასრულებს კარიერას, მაგრამ მისი შვილი კრისტიანი მამის კვალს დაადგება, ისევე როგორც პაოლომ განვლო ჩეზარეს გზა.

„კრისტიანს, მგონი, ამჟამად გართობა უფრო აინტერესებს. შვიდი წლისაა, მაგრამ მედიისგან საკმაოდ შეწუხებულია, რადგან მასში ახალ მალდინის ხედავენ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ბედს გაიზიარებს".

ვაჟა ხუციშვილი

რეჰაგელმა გააგრძელა

ოტო რეჰაგელმა კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა და სურს, რომ საბერძნეთის ნაკრებმა 2008-ში ევროპის ჩემპიონატის ტიტული დაიცვას. მოგეხსენებათ, მომდევნო ჩემპიონატს ავსტრია-შვეიცარია უმასპინძლებს, ელინელებს კი იქამდე შესარჩევი ეტაპის გავლა მოუწევთ.

გერმანელმა მწვრთნელმა საბერძნეთის ნაკრები 2001-ში ჩაიბარა და სამ წელიწადში ისეთი გუნდი შექმნა, რომელმაც შარშან პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა. მერე დაღმასვლა დაეწყოთ და ჰომავალი მუნდიალის შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლიეს.

რეჰაგელის ხელმძღვანელობით ბერძნებმა 52 მატჩი ითამაშეს, 27 მოიგეს, 13 ფრედ დაასრულეს და ამდენივე წააგეს. ასეთი კარგი შედეგისათვის ელინელებს სხვა არც ერთი მწვრთნელის ხელში არ მიუღწევიათ.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ „მეფე ოტოს" ჯერ კიდევ ევრო 2004-ის ფინალის წინ შესთავაზა კონტრაქტის გახანგრძლივება, რომელიც ამ წლის ბოლოს იწურება. მაშინ გერმანელმა იუარა.

ოტო რეჰაგელი საბერძნეთს კვლავაც უთავკაცებს

მართალია, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჩაგდების შემდეგ რეჰაგელის მოხსნას აპირებდნენ, მაგრამ გამოკითხვის შემდეგ ბერძენთა 88 პროცენტმა მისი დატოვება ისურვა.

ვაჟა ხუციშვილი

პატრიკ ვიეირა: „არსენალმა" თხასავით გამყიდა

ნეიტრალურის...

თქვა პატრიკ ვიეირამ

„იუვენტუსის" ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ თქვა, რომ კარიერის დასრულებას „არსენალში" აპირებდა, თუმცა, კლუბმა თავად მოიშორა ის, როცა 13,7 მილიონ გირვანქად მიჰყიდა იტალიელებს.

„მათ არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შევენარჩუნებინე — უამბო ვიეირამ ინგლისურ გაზეთებს — მივხვდი, რომ ამით ჩემი ლონდონში ყოფნა თავდებოდა. მანამდე კი მეგონა, რომ სამ წელიწადს მაინც ვითამაშებდი იქ. არ ვიცი, ფული სჭირდებოდათ თუ რა იყო, მაგრამ ჩემი გაყიდვა გადაწყვიტეს".

29 წლის პატრიკ ვიეირამ რვა სეზონი გაატარა „ჰაიბერიზე" და გუნდის კაპიტანიც იყო.

ახლა „იუვენტუსშია" და საუცხოოდ თამაშობს, თუმცა ზაფხულში ამბობდნენ, „რეალში" გადავაო.

„ერთხელაც არსენ ვენგერმა დამირეკა და ახალი სეზონის შესახებ მესაუბრა, რა გეგმები გვაქვსო, როგორ უნდა ვითამაშოთო და ასე შემდეგ. შემდეგი ზარი, უკვე კლუბის შეფის, დევიდ დეინისა იყო, „იუვენტუსიდან შენს შესახებ შემოთავაზება გვაქვს და კლუბის პოზიცია ნეიტრალურიაო. ეს ნეიტრალური კი იმას ნიშნავდა, რომ მყიდიან. იმიტომ, რომ შემოთავაზებები ჩემს ტრანსფერზე ყოველთვის იყო და ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ. გასული წლის ზაფხულში მათ არ უთქვამთ, რომ ნეიტრალურები არიან. მათ თქვეს, რომ ვერ შემელევიან. ამიტომ მივხვდი, რომ ვეთმობოდი და წასვლასაც დავთანხმდი".

ირაკლი გამყრელიძე

ფიორენტინა ვერ იყიდის

ფლორენციის „ფიორენტინა" იაფვრის სატრანსფერო ფანჯრისას გუნდის გასაძლიერებლად ახალ ფეხბურთელებს ალბათ ვერ იყიდის. „იების" სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ ამის თაობაზე ტელეინტერვიუში თქვა.

„ძალიან ძნელი იქნება ძვირფასი მოთამაშეების შეძენა — განაცხადა კორვინომ — რაც შეიძლება გასხვისებას, არავის გავყიდით".

ცნობამ „ფიორენტინას" ქომაგებს ხასიათი წაუხდინა. კლუბის პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე ოქტომბერში იფიცებოდა, ფული ორად გვაქვს, ზამთარში გუნდს კიდევ უფრო გავაძლიერებთო. სავარაუდო შესაძენთა ნუსხაში რობერ პირესი, კრისტიანო ძანეტი და ანტონიო კასანო იყვნენ. ახლა კი ისე გამოდის, რომ კლუბს არც ისე მსუყე ჯიბე ჰქონია, როგორც დელა ვალეს ეგონა.

„თუ რაიმე განსაკუთრებული მოხდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიძენთ ფეხბურთელს, უაზრო ტრანსფერმა კი შესაძლოა, გუნდში არეულობა გამოიწვიოს. კასანო ნაღდად არ გვაინტერესებს. მის ადგილზე ჩვენ რიკარდო მონტოლივო გვყავს".

ვაჟა ხუციშვილი

რობერ პირესი

ბაიერნმა ტონი აამაღლა

ლუკა ტონიზე მოთხოვნილებაა

იტალიის ნაკრებისა და „ფიორენტინას“ ფორვარდმა ლუკა ტონიმ თავისი საუცხოო თამაშით ევროგრანდებსაც მოსჭრა თვალი. იტალიურ ბობოლებს რომ თავი დავანებოთ, 28 წლის ფორვარდით მიუნხენის „ბაიერნი“ ყოფილა დაინტერესებული. გავრცელებული ცნობით, მიუნხენელები უკვე იანვარშივე აპირებენ „იების“ თავდამსხმელის გადაყვანას.

მოგეხსენებათ, „ბაიერნს“ თავდასხმაში პრობლემები აქვს: როი მაკაი ფორმაში არ არის, როკე სანტა კრუზი დაშავებულია, ხოლო მარტო კლაუდიო პიზაროსა და ხოსე პაულო გერეროს იმედზე ყოფნა ფელიქს მაგათს არ სურს.

მიუხედავად ბავარიელთა ასეთი მონდომებისა, ძნელად სავარაუდოა, ფლორენციელებმა თავიანთ ლიდერთან განშორება ინდომონ. როგორც იცით, ტონის წლეულს, სერია A-ში ჩატარებულ 11 მატჩში 13 გოლი აქვს გატანილი და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

ბოლოს დავძინოთ, რომ ამ შესაძლო ტრანსფერზე კომენტარი ჯერ არც ერთ მხარეს არ გაუკეთებია.

კოკი კანდელაკი

პლუს მინუს ლე გუენი

თითქმის ერთი კვირაა, პოლ ლე გუენს „რეინჯერსის“ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ.

გლაზგოელ „ჩაფართა“ თავკაც ალექს მაკლიშს კლუბის პატრონი ალმაცერად უყურებს, რადგან გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი ვერ მოიგო. მათ შორის, გასულ კვირაში „სელტიკთან“ ლიგის თასის შეხვედრაც წააგო. ცუდი შედეგების გამო მედია მაკლიშის კათავისუფლებას ვარაუდობს, მის ადგილს კი პოლ ლე გუენს უმზადებს.

„ლიონის“ ყოფილი მწვრთნელი ივნისიდან უმუშევარია. მან საფრანგეთის ჩემპიონი მიატოვა და ახალ გუნდს ეძებდა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. სწორედ ამიტომ ახსენებენ მის სახელს ხშირად შოტლანდიური გაზეთები.

პოლ ლე გუენი ამჟამად „კანალ პლუსში“ საქმიანობს

პოლ ლე გუენის აგენტმა ყველა დაამშვიდა. ფრედერიკ გერიმ განაცხადა, რომ ლე გუენი „კანალ პლუსზე“ მიმომხილველად მუშაობს და მომავალ სეზონამდე მწვრთნელობას არ აპირებს.

„ჩვენ ბევრი შემოთავაზება გვაქვს, მაგრამ ვფიქრობთ, განსახილველ ვარიანტთა შორის „რეინჯერსი“ არ არის. მე „რეინჯერსის“ პატრონის გვარიც კი არ ვიცი, რადგან არასდროს მსმენია მის შესახებ“ — თქვა გერიმ.

შეგახსენებთ, რომ პოლ ლე გუენმა ზაფხულშივე უარყო „ლაციოს“, „შტუტგარტის“, „ბენფიკასა“ და კიევის „დინამოს“ წინადადებები.

ვაჟა ხუციშვილი

სიომინი-დინამო
არის კონტრაქტი, ჩემპიონობა?

იური სიომინი

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილმა თავკაცმა იური სიომინმა, როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამო“ ოფიციალურად ჩაიბარა. დედაქალაქურმა კლუბმა მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იური სიომინი რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელია. მის ხელში „ლოკომოტივი“ ორჯერ ქვეყნის ჩემპიონი (2002 და 2004), ოთხჯერ ვერცხლის პრიზიორი (1995, 1999, 2000, 2001), ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი (1994, 1998) და ოთხჯერ თასის მფლობელი გახდა (1996, 1997, 2000, 29001).

როგორც იცით, ბოლოს სიომინი რუსეთის ნაკრებს თავკაცობდა და მისი ხელქვეითობით გუნდს ერთი მატჩიც არ წაუგია (3 მოგება და 3 ფრე), მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა მაინც ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სიომინმა წასვლა არჩია.

შეგახსენებთ, რომ „დინამოს“ გალის ბრაზილიელი ივო ვორტმანი წვრთნიდა, რომელმაც წარმატების მიღწევა ვერ შეძლო. არადა, დედაქალაქელებმა ტრანსფერებში დიდი ფული დახარჯეს. ახლა მოსკოველთა ამბიციური კლუბი სიომინის იმედზეა და მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის ემზადება.

კოკი კანდელაკი

რეაბილიტაცია

ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელი მიხაელ სკიბე გუნდში იენს ნოვოტნის დაბრუნებას აპირებს.

მოგეხსენებათ, 31 წლის ნოვოტნიმ კლუბს ორჯერ უჩივლა. ჯერ მკურნალობის ფულის გადახდას ითხოვდა, შემდეგ კი — ბუცარის. დაპირისპირების გამო იგი გუნდიდან გააძევეს და მხოლოდ ვარჯიშის ნება დართეს. ნოვოტნიმ კლუბთან პირველი სასამართლო პროცესი წააგო, მაგრამ არ მოისვენა და მეორედაც უჩივლა, ახლა კი პატრონი გააბრაზა და ამიტომ მოკვეთეს.

„პირადად მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს — თქვა სკიბემ, რომელმაც ერთი თვის წინ კლაუს აუგენტალერი შეცვალა — ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარდება და ნოვოტნი ჩვენთან კვლავ ითამაშებს“.

შეგახსენებთ, რომ იენს ნოვოტნიმ გასული სეზონის თითქმის ნახევარი მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „მილანი“ მიხაელ ბალაკისთვის ბრძოლაში ჩაერთო. როგორც ჩანს, „როსონერი“ „მანჩესტერს“, „რეალსა“ და „ინტერს“ სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. გერმანული პრესა გვამცნობს, რომ „მილანი“ უკვე წინადადებას ამზადებს და მალე ბალაკთან მოლაპარაკებასაც დაიწყებს.

ინგლისური „ჩელსი“ „საუთჰემპტონის“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ტეო უოლკოტის შეძენას აპირებს. ლონდონელები მზად არიან, „წმინდანებს“ 16 წლის ნახევარმცველში 8 მილიონი გირვანქა იანვარშივე გადაუხადონ, თუმც „ჩელსის“ „რეალის“ სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს — მადრიდელებს მოლაპარაკება უკვე უოლკოტის მშობლებთანაც დაუწყიათ.

პოლონეთის ნაკრებისა და „ლივერპულის“ მეკარემ იერჟი დუდეკმა კლუბიდან წასვლის სურვილი გამოთქვა. „ლივერპულში“ თამაში ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ თამაში და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და მე კი სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ამიტომ იანვარში ალბათ გუნდს შევიცვლი“ — თქვა 32 წლის დუდეკმა.

იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელი ფრანჩესკო ტავანო ამჟამად სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესოა. უკვე 26 წლის ფეხბურთელის მუნდიალზე შესაძლო მოხვედრაზეც ალაპარაკდნენ. „ცხადია, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ და მთლიანად კლუბის შედეგებითაც. რაც შეეხება ნაკრებს, „სკუადრა აძურას“ მაისურის მორგება ჩემი ოცნებაა, მაგრამ ეს მარჩელო ლიპის გადასაწყვეტია და მე მის აზრს პატივს ვცემ. მთავარია, წარმატებას მივაღწიოთ“ — განაცხადა ტავანომ.

ინგლისური „ტოტენჰემის“ კაპიტანმა ლედლი კინგმა უარყო ჭორები მისი კლუბიდან შესაძლო წასვლის შესახებ. „ეს სიცრუეა, „ტოტენჰემიდან“ არსადაც არ მივდივარ. ამჟამად ახალ, ხუთწლიან კონტრაქტზე მიმდინარეობს მოლაპარაკება და შეთანხმებას მალე მივაღწევთ“ — აღნიშნა კინგმა.

ნორვეგიისა და ჩეხეთის ნაკრებების საპლეიოფო მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, სკანდინაველმა ნახევარმცველმა იონ არნე რიისემ ჟურნალისტები, მწვრთნელები და ფეხბურთელები გვარიანად გაახალისა. საქმე ისაა, რომ ჩეხებთან მატჩის წინ ლივერპულელმა თავის ერთ-ერთ თანამემამულესთან ერთად კომპიუტერზე ფეხბურთი ითამაშა და დამარცხდა. წაგებულს პრესკონფერენციაზე უნდა გაეხადა და რიისემაც სიტყვა შეასრულა...

იტალიური „ინტერის“ პორტუგალიელ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს სჯერა, რომ „ნეროაძურის“ ჯერ კიდევ აქვს სკუდეტოს მოგების შანსი. „ბევრი ვიშრომეთ და საბრძოლველად ვართ განწყობილნი. პირადად მე ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ, სადაც კლუბს გამოვადგები. ახლა მთავარია, ახალ წლამდე ქულები აღარ დავკარგოთ და სიმშვიდე შევინარჩუნოთ. შანსი კიდევ გვაქვს“ — თქვა ფიგუმ.

ინგლისურმა „მანჩესტერმა“ გამოძიება დაიწყო. საქმე ის გახლავთ, რომ „ჩელსისთან“ მატჩის დროს „წითელი ეშმაკების“ გასახდელში მოსასმენი აპარატურა ყოფილა დამონტაჟებული, ჩანაწერი ხელში ჩაუვარდა გაზეთ „სანს“, რომელმაც იგი „მანჩესტერს“ გადასცა. ფირზე კარგად ისმის სერ ალექს ფერგიუსონის მიმართვა ფეხბურთელებისადმი მატჩის წინ და შესვენებაზე. ასევე გამარჯვებით გამოწვეული აურზაური და ფრაზები, რომლებსაც მოთამაშეები თუ მწვრთნელები გაიძახიან.

იტალიური „უდინეზეს“ განელმა ლეგიონერმა სულეი ალი მუნტარიმ განაცხადა, რომ იგი „მანჩესტერში“ გადასვლას არ აპირებს. „ეს ინფორმაცია პრესაში წავიკითხე და მინდა, გითხრათ, რომ „უდინეზე“ ჩემთვის საუკეთესო ადგილია. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ უნდა ვისწავლო, სანამ რომელიმე გრანდში გადავალ“ — აღნიშნა 21 წლის ნახევარმცველმა.

პორტუგალიური „ბენფიკას“ კაპიტანი სიმაო საბროსა მალე ალბათ „ლივერპულის“ ფეხბურთელი გახდება. მერსისაიდელები 26 წლის ნახევარმცველში დაახლოებით 12 მილიონ ევროს გადაიხდიან. „ცოტა ხანში სიმაოს ყველაფრისთვის მადლობას ვეტყვით და დავემშვიდობებით. ინგლისელებთან ფაქტობრივად, შეთანხმებული ვართ“ — განაცხადა ლისაბონელთა პრეზიდენტმა ლუიშ ფელიპე ვიერამ.

იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი,
1999 წელს გამოშვებული ISUZU RODEO
2.2 ბენზინის ძრავით,
იდეალურ
მდგომარეობაში,
განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 8 99 55 80 27

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხოფერია

სიჩუმე ბონბონერაზე

ბოკა პირველად დამარცხდა

ალფიო ბაზილეს „ბოკა ხუნიორსს“ ჩემპიონობა სათუო გაუხდა

არგენტინა

აპერტურა. XIV ტური

როსარიო — ბანფილდი 0:0; არგ. ხუნიორსი — კილმესი 1:2; ხიმნასია (ლ) — ესტუდიანტესი 0:1; ხიმნასია (ლ) — რასინგი 3:1; ბოკა ხუნიორსი — კოლონი 0:1; ინდეპენდიენტე — ველესი 1:0; ინსტიტუტო — რივერ პლეიტი 1:4; ლანუსი — ოლდ ბოისი 1:1; ოლიმპო — არსენალი 0:0; სან ლორენსო — ტირო ფედერალი 5:3

„ბოკა ხუნიორსმა“ წლეულს, აპერტურაში პირველად წააგო საშინაო მატჩი — ალფიო ბაზილეს ბიჭები „ლა ბონბონერაზე“ „კოლონთან“ დამარცხდნენ. ახლა „ბოკას“ და ცხრილის მეორეადგილოსან „ხიმნასია ლა პლატას“ თანაბარი ქულები აქვთ და ეს მაშინ, როცა აპერტურას ფინიშამდე სულ რაღაც, ხუთი ტურია დარჩენილი.

მატჩის ერთადერთი გოლი 82-ე წუთზე ფაბიანესიმ შეაგდო, მაგრამ ედგარო ბაუსას შეგირდების მოულოდნელი ფიესტა უფრო მასპინძელთა წამყვანი ფეხბურთელების დაქანცვის ბრალი იყო, ვიდრე თავად სტუმართა აქტიურობისა. „ბოკას“ ფეხბურთელებს არაქათი მეორე ტაიმში გამოეცალათ — დიეგო კანიამ, ნერი კარდოზომ და ხუან კრუპოვიესამ ტრავმები მიიღეს და იძულებული შეიქნენ, მოედანი კოჭლობით დაეტოვებინათ. ამ სამეულმა აპერტურაში და სამხრეთ ამერიკის თასზე ბევრი მატჩი ჩაატარა და, ეტყობა, არანორმალურ დატვირთვებს ვერ გაუძლო.

„ბოკა ხუნიორსი“ მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე უკეთესად ბურთაობდა, თუმც გადამწყვეტ ეპიზოდებში მასპინძლებს სიზუსტე ღალატობდათ. როგორც ჩანს, ერთდროულად ორ ფრონტზე ომმა ბაზილეს გუნდი მართლა გამოფიტა.

მე-14 წუთზე როდრიგო პალასიომ ფედერიკო ინსუას პასის შემდეგ ბურთი ლაურეანო ტომბოლინის კარის მარჯვენა ძელს შეაწყვიტა. ფერნანდო გაგო და ინსუა არც ამის მერე გაჩერებულან, მაგრამ „ბოკას“ ნახევარდაცვა-თავდასხმას შორის კავშირი დარღვეული იყო — როდრიგო პალასიო და მარტინ პალერმო მოწინააღმდეგის მცველებს საიმედოდ ჰყავდათ ჩაკეტილი.

ამასობაში გონს „კოლონის“ მოიერიშეებიც მოვიდნენ და მომხვდურებმა ორი საზიფათო მოქენტი გაჩარხეს — 22-ე წუთზე „ბოკას“ მეკარის შეცდომით ესტებან ფუერტესმა ვერ ისარგებლა, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს მეკარესთან პირისპირ გასულ ხუან კომინგესს სიზუსტე არ ეყო.

შესვენების შემდეგ კვლავაც „ბოკა“ უტევდა. ჯერ კარდოზომ გააფუჭა ხელსაყრელი მომენტი, მერე კი როდრიგო პალასიომ ტომბოლინის ძელს „დაბეჭდა“. მიუხედავად ამისა, გოლი მაინც მასპინძელთა კარში გავიდა — ესტებან ფუერტესმა ივან ფაბიანესის უპასა, ამ უკანასკნელმა კი ეზეკიელ მედრანს ეშხიანად შეუგდო.

პატაგონიური გაზეთები მატჩის მეორე დღეს „კოლონს“ დიდად აქებდნენ, გუნდმა „ლა ბონბონერა“ სამუდამოდ ჩააჩუმაო — ეწერა იქაურ „ლა ნასიონში“.

„კოლონმა“ აპერტურა ცუდად დაიწყო, მერე მწვრთნელი, ხერარდო მარტინო მოხსნეს და ახალი თავკაცი ედგარო ბაუსა მიიყვანეს. შედეგიც შთამბეჭდავია — გუნდმა ბოლო ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა.

მეთოთხმეტე ტურის შემდეგ „ინდეპენდიენტე“ ცხრილში მესამეა. ამ გუნდმა მიგელ ანხელ რუსოს „ველეს სარსფილდს“ უმასპინძლა და ლუკას პუსინერის გოლით 1:0 გააკრა ბეჭებზე.

გასულ უქმეებზე „ესტუდიანტესმა“ და „სან ლორენსომაც“ იხეირეს. „სტუდენტებმა“ ხუხუის „ხიმნასიას“ გასვლაზე მოუგეს 1:0, „სან ლორენსომ“ კი ჩემპიონატის აუტსაიდერი „ტირო ფედერალი“ 5:3 დაჩაგრა. თუ „ტიროს“ რაიმე საბუგეში აქვს, ეს მისი ფორვარდი ხავიერ კამპორაა. კამპორამ პენალტი გაიტანა და აპერტურას მეგოლეებს, ნიკოლას ფარუტოსს, როდრიგო პალასიოსა და ხოსე ლუის კალდერონს დაეწია.

ქვეყნის მეორე გრანდი და „ბოკას“ მოსისხლე, „რივერ პლეიტი“ კორდობას „ინსტიტუტოს“ შმაგად დააცხრა თავს და მისსავე ინჩასთა თვალწინ 4:1 გაანადგურა. ერნესტო ფარიასმა ჰეთ თრიქი შეასრულა, მარსელო გალიარდომ კი ერთი შეაგდო. მედიას ფარიასის სიჩაუქე უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ივი არგენტინული სპორტული გაზეთების პირველ გვერდებზეც გამოჭიმეს.

ბოკა ხუნიორსი	14	8	4	2	26:11	28
ხიმნასია (ლ)	14	9	1	4	22:16	28
ინდეპენდიენტე	14	7	5	2	26:16	26
ველესი	14	8	2	4	18:10	26
ესტუდიანტესი	14	8	1	5	18:12	25
რივერ პლეიტი	14	7	2	5	23:15	23
სან ლორენსო	14	6	4	4	25:22	22
ბანფილდი	14	4	9	1	17:12	21
არგ. ხუნიორსი	14	6	3	5	13:13	21
ოლიმპო	14	4	8	2	14:13	20
კილმესი	14	4	5	5	15:17	17
კოლონი	14	4	4	6	18:22	16
როსარიო	14	4	4	6	14:23	16
არსენალი	14	3	6	5	14:18	15
ლანუსი	14	3	6	5	13:22	15
რასინგი	14	4	2	8	17:21	14
ოლდ ბოისი	14	3	4	7	15:22	13
ინსტიტუტო	14	2	6	6	8:17	12
ხიმნასია (ხ)	14	2	5	7	15:23	11
ტირო ფედერალი	14	3	1	10	17:23	10

ურუგვაიმ ფორლანი დაკარგა

დიეგო ფორლანი

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ხორხე ფოსატიმ თქვა, ავსტრალიასთან საპასუხო მატჩში დიეგო ფორლანი ვერ ითამაშებსო.

ესპანური „ვილიარეალის“ მეგოლე ოზებთან ბლეი ოფის პირველი თამაშის წინ მუხლმტკივანი გახლდათ, თუმც შაბათს მოედანზე გასვლა მაინც გარისკა და ტრავმაც გირთულა.

„სამწუხაროდ, სიდნეიში დიეგოს მოვისაკლისებთ. მას ტრავმა გაუმიზეზდა და ეროვნული გუნდის ექიმებმაც ფორლანს თამაში ამიტომ აუკრძალეს“ — განუმარტა სენიორ ფოსატიმ მედიას.

გეხსომებათ, „სელესტეემ“ შაბათს მშობლიურ „სენტენარიოზე“ მატჩი მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოიგო.

„ძალიან ცუდია, თანაგუნდელთა დახმარებას რომ ვერ შეეძლებ. იმედი მაქვს, ექიმთა დასკვნა მცდარი იქნება და ტრავმა არც ისე სერიოზულია“ — აღნიშნა თავად დიეგო ფორლანმა.

ატლეტიკომ გაგო გაიგო



ფერნანდო გაგო

მადრიდის „ატლეტიკო“ არგენტინულ ბაზარს გაუშინაურდა. კლუბში ამჟამად მწვრთნელ კარლოს ბიანკის ჩათვლით ექვსი პატაგონიელია, თუმც „ათლეტთა“ უფროსობა იანვარში ნახევარდაცვის გაძლიერებას ისევ საძრეოაძერიკელით აპირებს.

როგორც არგენტინული მედია გვამცნობს, „ატლეტიკოს“ სპორტული დირექტორი ტონი მუნიოსი ამ დღეებში ბუენოს აირესში გახლდათ და თვალი ვინმე ფერნანდო გაგოს დაადგა. გაგო ახლა „ბოკა ხუნიორსში“ თამაშობს.

„ბოკასთან“ მოლაპარაკებას უკვე ვაწარმოებთ. არგენტინის ჩემპიონატი ერთობ მაღალი დონისაა და იქაურ ლიგაში ნაწრთობი ფეხბურთელი „ატლეტიკოში“ ძალიან გამოგადგება“ — უთქვამს ტონი მუნიოსს.

ფერნანდო გაგოს შეძენით კი სხვა ესპანური გუნდები, „რეალი“ და „ბარსელონა“, აგრეთვე ინგლისური „ჩელსიც“ არიან დაინტერესებული.

ბრაზილია

სერია A. XXXVIII ტური

ფიგერენსე — ფორტალეზა 1:1; პაისანდუ — ატლ. მინეირო 0:2; ბოტაფოგო — პარანა 2:1; პალმეირასი — სან პაულუ 2:1; სანტოსი — ინტერნაციონალი 0:1; ეუვენტუდე — სან კეტანო 3:1; პონტე პრეტა — ფლამენგო 2:2; ვასკუ და გამა — ფლუმინენსე 2:1; კურიტიბა — კორინთიასი 0:1; კრუზეირო — ბრაზილიენსე 1:1; გოიასი — ატლ. პარანენსე 4:2

კორინთიასი	38	23	8	7	81:53	77
ინტერნაციონალი	38	21	8	9	68:46	71
ფლუმინენსე	38	19	11	8	75:58	68
გოიასი	38	20	7	11	61:47	67
პალმეირასი	38	17	10	11	68:57	61
კრუზეირო	38	17	9	12	70:63	60
პარანა	38	16	9	13	56:47	57
სანტოსი	38	15	10	13	65:66	55
ატლ. პარანენსე	38	16	6	16	68:59	54
ბოტაფოგო	38	15	8	15	52:51	53
სან პაულუ	38	14	10	14	70:60	52
ეუვენტუდე	38	13	10	15	59:64	49
ფორტალეზა	38	14	7	17	52:58	49
ვასკუ და გამა	38	13	10	15	66:78	49
პონტე პრეტა	38	14	6	18	56:68	48
ფლამენგო	38	11	12	15	48:59	45
სან კეტანო	38	12	8	12	47:56	44
ფიგეირენსე	38	11	11	16	53:66	44
კურიტიბა	38	11	9	18	47:57	42
ბრაზილიენსე	38	9	11	18	45:61	38
პაისანდუ	38	11	5	22	58:81	38
ატლ. მინეირო	38	10	7	21	48:58	37

ჩილე

აპერტურა
გადადებული
მატჩები

მელიპილია — უნივერსიდად კონსეპსიონი 1:2; პალესტინო — ტემუკო 1:0; უონდერერსი — ლა სერენა 0:0; უნივერსიდად კათოლიკა — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; პუერტო მონტი — კოკიმბო 1:0

აშშ

MLS
ფინალი

ნიუ ინგლანდი 0:1(დ.დ.(0:0) ლოს ანჯელესი

რეკლამა
სარბიელ-ში

Tel:
39 40 08,
93 16 08;
Fax:
94 33 80

ჟულიო სეზარი და მისი მეგობრები

გერმანული „დორტმუნდის“ ძველჩაუქმა ბრაზილიელმა ჟულიო სეზარმა, რომელიც „პორუსიაში“ 1994-1998 წლებში თამაშობდა, კვირას თავისი საბენეფისო მატჩი გამართა, რომელშიც მონაწილეობა ოკეანისგაღმელი ვარსკვლავის მეგობრებმა მიიღეს. არ იყო მხოლოდ დიეგო მარადონა. დიეგომ „ვესტფალენშტადიონზე“ ბურთაობის სანაცვლოდ 200 ათასი დოლარი მოითხოვა. შეხვედრის ორგანიზატორებიც ადგნენ და მოწვეულთა სიიდან მარადონა ამოიღეს.

ამხანაგურ მატჩში „ჟულიო სეზარის მეგობრები“ 1997 წლის ჩემპიონთა თასის მომგებ „პორუსიას“ შეხვდა. „მეგობართა გუნდში“ სხვა

ჟულიო სეზარი (მარცხნივ) დორტმუნდის „პორუსიამ“ დააფასა

ვარსკვლავების გარდა ტაფარელმა, ალდაირმა, დუნგამ, კარეკამ, ბერნდ შუსტერმა და როჟე მილამაც იბურთავეს. დიეგო მარადონა კი თითქმის უკანასკნელ წუთამდე ირწმუნებოდა, ჩემი ძმაკაცის ბენეფისს არ ფრით გამოვტოვებო, თუმც მერე დიდძალი თანხა მოითხოვა და...

„მე ჩემი ფიესტა უახლოეს მეგობრებთან ერთად აღვნიშნე. მათ თამაშის სანაცვლოდ არაფერი მთხოვეს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. რაც შეეხება დიეგოს, თავისი საქმე უკეთესად იცის“ — განაცხადა ჟულიო სეზარმა პრესასთან საუბარში. ფანებმა კი თურმე ჟურისწამღებად უსტვინეს, როცა სტადიონზე მარადონას არყოფნის მიზეზი გამოცხადდა.

თამაში კი „ჟულიო სეზარის მეგობრებმა“ 5:2 მოიგეს. გამარჯვებულთაგან გოლები აილტონმა, ჯოვანი ელბერმა, ანდრეას ჰერცოგმა, ლუკას ბერნარდიმ და როჟე მილამ გაიტანეს, დამარცხებულთაგან კი ჰაიკო ჰერლიხმა და რენე შნაიდერმა.

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ჟერსონი

იტალიელებზე ნაკლები და პელეს ტოლი

რიო დე ჟანეიროსთან ახლოს არის პატარა ქალაქი ნიტეროი, სადაც 1941 წლის 11 იანვარს დაიბადა ნუნიეს ჟერსონ დე ოლივეირა. მის მშობლებს ერქვათ კლოვის ნუნიესი და დეოლინდა დე ოლივეირა.

თამაშობდა ჟერსონი „ფლამენგოში“, ოღონდ თავიდან მას თავდამსხმელად მიიჩნევდნენ. პირველი ოფიციალური თამაში 1958 წელს ჩაატარა და ეს, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ დერბიში, „ფლუმინენსეს“ წინააღმდეგ მოხდა. ჟერსონმა ტრავმირებული ფორვარდი დეკინიუ შეცვალა და გოლი შეაგდო

თავდამსხმელობის წლებში ის საკმაოდ შედეგიანი იყო. 1960 და 1961 წლების სეზონებში 26-26 გოლი გაიტანა, 1963-ში კი „ფლამენგო“ ისე დატოვა, რომ სტატისტიკოსებს დავთრებში ოთხმოცამდე წარმატებული დარტყმა ჩაეწერინა.

რა ტიტულები მოიგო ჟერსონმა „ფლაში“? რიოს იუნიორთა და ახალგაზდული ჩემპიონატები და ეგრეთწოდებული ოქტაგონალი, რაც არგენტინაში რვა უძლიერესი სამხრეთამერიკული გუნდის შეჯიბრებას ნიშნავდა.

ჟერსონის შემდეგი გუნდი იყო „ბოტაფოგო“, რომელშიც ის უკვე ჩამოყალიბებულ ნახევარმცველად გადავიდა. მისი ჰავბეკად ჩამოყალიბების პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა და „ბოტაფოგოში“ გადასული უკვე ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ამ ამპლუაში.

რა იყო ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის მიზეზი? უთანხმოება „ფლამენგოს“ მწვრთნელთან, ფლავიო კოშტასთან. მიზეზი: კოშტა მას ათ ნომრობას ანუ ცენტრალურ თავდამსხმელობას აძალებდა, ჟერსონი კი ამბობდა, ჩემი საქმე რვა ნომრობაო. მოდი ახლა განვმარტოთ ეს ამბავი — იმ ეპოქაში მოთამაშეებს ამპლუების შესაბამისი ნომრები ეწერათ, ანუ ათი ნომერი ბრაზილიაში, „ფლამენგოში“ და საბჭოთა კავშირში, ვთქვათ თბილისის „დინამოში“, ერთსა და იმავე საქმეს ასრულებდა, ხოლო, ჟერსონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ისიც იყო, რომ ათ ნომრად დარჩენის შემთხვევაში, ნაკრებში პელესთან მოუწევდა კონკურენცია, ეს კი ცხადია, ძალიან არასასურველი რამ გახლდათ.

რომაული ამბები

1960 წელს, რომის ოლიმპიადაზე ჟერსონმა ისე ითამაშა, რომ იტალიელ სელექციონერთა ბლოკნოტებში ამოჰყო თავი და უკვე შემდგომ წელიწადს იმხანად ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის, „ბოლონიას“ პრეზიდენტმა, რენატო დალარამ ბრაზილიაში თავისი სკაუტი, კარლო მონტანარი აფრინა. მონტანარიმ ჟერსონს ფანტასტიკური პირობები შესთავაზა: წელიწადში 300 მილიონი იტალიური ლირა, პლუს რაღაც-რაღაც შეღავათები და ზედაც კლუბის ხარჯზე იტალიაში მშობლების დაპატიჟების შანსი. კლუბთა შორის გარიგებით კმაყოფილი დარჩა „ფლამენგოს“ პრეზიდენტიც, ის არც მეტი, არც ნაკლები, ეხვეწებოდა ჟერსონს „ბოლონიას“ წინადადებას დათანხმებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თან, რაც მთავარია, არ განმარტა, რატომ ამბობდა უარს.

და იცით, როდესაც ამ ამბიდან ათი წელიწადი გავიდა, რა თქვა ჟერსონმა? მან განაცხადა, რომ უბრალოდ, შეეშინდა, რადგან ეგონა, რომ იტალიაში მასზე გაცილებით დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ...

1962 წლის მუნდიალზე იგი ტრავმის გამო ვერ წავიდა.

მარცხი 66

„ბოტაფოგო“ გახლდათ მის კარიერაში ყველაზე ძლიერი გუნდი, რომელშიც ჟერსონის თანაგუნდელები იყვნენ გარინჩა, ჟაირზინიო, ზაგალო, ნილტონ სანტოსი და სხვები. „ფოგოს“ შემადგენლობაში მან აურაცხელი მედალი დახვეტა, მაგრამ ამბავი, რომელსაც ამჯერად მოგახსენებთ, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ეხება.

მაშ ასე, ჩვენი წერილის გმირი გამალებით ემზადებოდა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატისთვის. მაშინდელი ხალხი იგონებს, რომ ჟერსონს ინგლისში გამგზავრება აბოდებდა და დღედაღამ ვარჯიშობდა, რამაც საბოლოოდ, ძალიან ცუდი სამსახური გაუწია — ის მეტისმეტად ადრე შევიდა კარგ ფორმაში. იგონებენ, რომ ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში, ჟენევაში შვეიცარიასთან, ჟერსონმა არაჩვეულებრივად ითამაშა და მატჩის კომენტატორს ათქმევინა, რა სამწუხაროა, დღევანდელ შეხვედრას მთელი დედამიწა რომ არ უყურებსო, მაგრამ ბრაზილიელთა გუნდის ექიმს, მისი შემხედვარე, უკვე სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ ნახევარმცველი უბრალოდ, გადაიწვებოდა და განგებ თირკმელის დაავადებაც კი მოუგონა, რათა ათი დღით საავადმყოფოში დაეწვინა და დაეოკებინა.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჟერსონმა კარგი ფიზიკური ფორმით მაინც ვერ მიატანა — ბულგარელებთან ის არ ათამაშეს, უნგრელებთან კი ბრაზილია დამარცხდა და მსოფლიოს ჩემპიონატიც ფაქტობრივად, ამით დაასრულა. მესამე მატჩი, რომელშიც მათ უჟერსონოდ პორტუგალიას მოუგეს, აღარაფერს წყვეტდა.

სან პაულო და 70

ჟერსონის ცხოვრების შემდეგი მონაკვეთი „სან პაულუსთან“ იყო დაკავშირებული. ტრანსფერი პომპეზურად გაფორმდა, 80 ათას დოლარიან ხელფასს მხარეებმა ხელი შტატის გუბერნატორის თანდასწრებით, პალასიო დე ლიბერტადში მოაწერეს. ერთი სიტყვით, ჟერსონი რიოდან წავიდა. ახალ გუნდში ის პირდაპირ კაპიტნად აირჩიეს.

მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს კი ეს უკვე ადგილობრივ ოსტატებ[illegible] ქეული მუნდიალი საუცხოოდ, სრულიად გაწონასწორებულმა ჩაატარა და ბევრის აზრით, ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფში პელეზე ნაკლები წვლილი არ შეუტანია. ამბობენ, რომ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთა უპირატესობა მოედნის ცენტრში — თან ყველა მატჩში, ალბათ, ინგლისელებთან მატჩის გარდა — უპირველეს ყოვლისა, ჟერსონის დამსახურება გახლდათ. თან, უნდა დავძინოთ, რომ ჟერსონის დაცვლება შეტევის ბოლო ფაზის მოწყობა სულაც არ იყო, თუმცა თავდასხმაში თავისი სიტყვის თქმის არავინ უშლიდა და ფინალში, იტალიასთან მატჩის 66-ე წუთზე, ასეც მოიქცა — ბურთი მიიღო, ორ მეტოქეს გასცდა და 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა.

ეპილოგი

ჟერსონი სამჯერ გადავიდა „ბოტაფოგოდან“ „სან პაულუში“ და პირიქით. რამდენჯერმე ამის მიზეზი რიოს და მისი პლაჟების მონატრება გახლდათ, ერთხელ კი, როდესაც „სან პაულუ“ „ფლუმინენსეს“ ხვდებოდა, მას სტადიონზე მისვლა დააკავეს. მიზეზი: თურმე, მშობლების მოსანახულებლად ყოფილა და გზაში საავტომობილო, ეგრეთწოდებულ საცოცხში გაჩხერილა.

1972 წელს კი ჟერსონი „ფლუმინენსეში“ გადავიდა და იქ სამი წელიწადი გაატარა, ხოლო რაც შეეხება 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, წლობით „ნაგროუები ტრავმებით“ დატანჯულს მასზე წასვლა არ მოუწია.

1974 წელსვე მან ჟურნალისტიკის კურსები დაამთავრა და მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო საქმიანობა დარჩენას და სხვადასხვა თანამდებობებს სთავაზობდა, პროფესია გამოიცვალა.

პაპუნა კედია

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჟერსონმა იტალიელებს ბრწყინვალე გოლი გაუტანა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	1	უიგანი-არსენალი	4.50	3.30	1.75	1.90	1.25	1.14
19:00	2	ჩარლტონი-მანჩესტერი	4.20	3.30	1.80	1.84	1.25	1.16
19:00	4	ჩელსი-ნიუკასლი	1.30	4.60	9.00	1.01	1.13	3.04
19:00	6	ლივერპული-პორტსმუთი	1.40	4.30	7.00	1.05	1.16	2.66
19:00	7	სიტი-ბლექბერნი	2.00	3.10	3.70	1.21	1.29	1.68
19:00	8	სანდერლენდი-ასტონ ვილა	2.60	3.30	2.50	1.45	1.27	1.42
21:15	9	ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი	2.55	3.00	2.70	1.37	1.31	1.42

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	10	ტოტენჰემი-ვესტ ჰემი	1.60	3.40	5.60	1.08	1.24	2.11
20:00	11	მიდლსბრო-ფულემი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93

21 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	12	ბირმინგემი-ბოლტონი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46

შოტლანდია. პრემიერლიგა

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	61	სელტიკი-რეინჯერსი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:00	62	დანდი იუნ.-მოზერუელი	2.40	3.00	2.80	1.33	1.29	1.44
19:00	63	დანფერმლაინი-ლივინგსტონი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
19:00	64	ჰიბერნიანი-ფოლკირკი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
19:00	65	კილმარნოკი-ინვერნესი	1.95	3.00	3.60	1.18	1.26	1.63

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	66	აბერდინი-ჰართსი	3.70	3.10	1.90	1.68	1.25	1.17

შოტლანდია. I დივიზიონი

15 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	490	ბრეჩინი-სტ.მირენი	6.00	3.70	1.45	2.28	1.16	1.04
23:45	491	დანდი-ჰამილტონი	2.15	3.40	2.75	1.31	1.20	1.52

გერმანია. I ბუნდესლიგა

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	74	არმინია-ბაიერნი	5.20	3.70	1.55	2.16	1.19	1.09
18:30	76	დორტმუნდი-ჰერტა	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
18:30	77	ლაუტერნი-ნიურნბერგი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
18:30	78	კიოლნი-შალკე	3.40	3.10	2.05	1.62	1.27	1.23
18:30	80	მაინცი-აინტრახტი	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
18:30	81	გლადბახი-ლევერკუზენი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52
18:30	82	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	83	ჰამბურგი-დუისბურგი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
20:30	84	შტუტგარტი-ჰანოვერი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

15 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	103	რეგენსბურგი-ბაიერნი(მ)	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64

ავსტრია. ბუნდესლიგა

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	113	ადმირა-აუსტრია	5.50	3.70	1.50	2.21	1.17	1.06
21:00	115	მატერსბურგი-პაშინგი	2.40	3.00	2.80	1.33	1.29	1.44
21:30	116	რაპიდი-შტურმი	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
21:30	117	რიდი-ტიროლი	1.85	3.10	3.70	1.15	1.23	1.68

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	118	გრაცერი-ზალცბურგი	2.60	3.00	2.55	1.39	1.28	1.37

ავსტრია. I დივიზიონი

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	119	ალტახი-კუფშტაინი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:00	120	აუსტრია(მ)-გრატკორნი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
22:00	121	ლინცერი-კაფენბერგი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
22:00	122	ლეობენი-აუსტრია(ლ)	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
22:00	123	შვანენშტადტი-კერნტენი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39

შვეიცარია
სუპერლიგა

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	124	თუნი-ქსამაქსი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	125	აარაუ-ბაზელი	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
19:00	127	შაფჰაუზენი-ივერდონი	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44
19:00	128	სტ.გალენი-გრასჰოპერი	2.75	3.10	2.35	1.45	1.26	1.33
19:15	130	ციურიხი-იანგ ბოიზი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60

იტალია
სერია A

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	140	უდინეზე-მესინა	1.55	3.40	6.30	1.06	1.24	2.20
23:30	141	რომა-იუვენტუსი	3.10	3.10	2.25	1.54	1.30	1.30

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	142	კიევო-ასკოლი	1.60	3.30	6.00	1.07	1.26	2.12
18:00	143	ფიორენტინა-მილანი	2.95	3.10	2.30	1.51	1.29	1.32
18:00	144	ლეჩე-სიენა	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:00	145	ლივორნო-ემპოლი	1.85	2.90	4.70	1.12	1.32	1.79
18:00	146	რეჯინა-კალიარი	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
18:00	147	სამპდორია-ლაციო	1.80	3.10	4.60	1.13	1.29	1.85
23:30	150	ინტერი-პარმა	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33

ესპანეთი
I დივიზიონი

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	186	ხეტაფე-ოსასუნა	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
23:00	189	რეალი-ბარსელონა	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:45	191	სევილია-ბეტისი	2.05	3.00	3.70	1.21	1.31	1.65
21:00	192	ვილიარეალი-სარაგოსა	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	182	ბილბაო-ალავესი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
20:00	183	კადისი-ვალენსია	3.10	3.00	2.30	1.52	1.32	1.30
22:00	184	სელტა-ატლეტიკო	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
20:00	185	ესპანიოლი-მალიორკა	2.10	3.10	3.35	1.25	1.29	1.61
20:00	188	მალაგა-სოსიედადი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
23:45	190	რასინგი-დეპორტივო	2.65	3.00	2.60	1.40	1.31	1.39

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		19 ნოემბერი						
20:15	204	მონაკო-სტ.ეტიენი	2.00	3.00	3.70	1.20	1.29	1.65
20:15	205	მარსელი-ნანტი	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
23:00	206	აიაჩო-სოშო	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
23:00	207	ოსერი-ლილი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
23:00	208	ლანსი-მეცი	1.50	3.70	5.80	1.06	1.19	2.25
23:00	210	ლიონი-ტრუა	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13
23:00	212	ნანსი-ლე მანი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
23:00	213	სტრასბური-ნიცა	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
		20 ნოემბერი						
21:00	214	რენი-ტულუზი	1.85	3.00	4.20	1.14	1.28	1.75
23:45	215	ბორდო-პსჟ	2.10	2.90	3.30	1.21	1.28	1.54
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		15 ნოემბერი						
23:30	217	ბასტია-სედანი	2.05	2.80	3.80	1.18	1.33	1.61
		ბელგია. I დივიზიონი						
		19 ნოემბერი						
21:00	218	შარლერუა-გენტი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
23:00	219	ბევერენი-სერკლი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
23:00	220	ბრიუგე-ლუვე	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
23:00	222	ბრიუსელი-სტანდარდი	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
23:00	224	ლოკერენი-ვარეგემი	1.90	3.10	3.70	1.17	1.25	1.68
23:00	225	სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი	1.90	3.10	3.70	1.17	1.25	1.68
		20 ნოემბერი						
18:00	226	რუზელარე-მუსკრონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
21:00	227	ვესტერლო-ანდერლეხტი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
23:00	228	ლიერსი-ჟენკი	3.20	3.00	2.15	1.54	1.28	1.25
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		18 ნოემბერი						
23:30	238	ტილბურგი-ვიტესი	2.65	3.00	2.50	1.40	1.28	1.36
		19 ნოემბერი						
22:30	240	დენ ჰააგი-ნაიმეგენი	2.50	3.00	2.70	1.36	1.29	1.42
23:00	241	ვალვაიკი-პსვ	3.60	3.10	1.95	1.66	1.26	1.19
22:30	242	ბრედა-უტრეხტი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
23:15	243	აიაქსი-ტვენტე	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
		20 ნოემბერი						
15:30	244	როდა-ფეიენოორდი	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
17:30	246	ვრონინგენი-ალკმაარი	3.30	3.00	2.10	1.57	1.28	1.23
17:30	247	ჰერაკლესი-როზენდალი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
17:30	248	სპარტა-ჰერენვენი	2.60	3.10	2.45	1.41	1.26	1.36
		დანია. სუპერლიგა						
		19 ნოემბერი						
20:00	360	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
		20 ნოემბერი						
18:00	361	ჰორსენსი-მიდტიულანდი	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
18:00	362	ნორდსიელანდი-ოლბორგი	2.35	3.40	2.60	1.38	1.23	1.47
18:00	363	სილკებორგი-ესბიერგი	2.80	3.40	2.20	1.53	1.23	1.33
18:00	364	სიონდერიისკე-ოდენსე	3.50	3.40	1.95	1.72	1.25	1.23
20:30	366	კოპენჰაგენი-ორჰუსი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		არგენტინა						
		15 ნოემბერი						
23:45	392	კილმესი-ხიმნასია ლპ	2.80	3.10	2.25	1.47	1.24	1.30
23:45	393	რასინგი-ხიმნასია ჟ	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
		16 ნოემბერი						
23:45	388	ბანფილდი-ლანუსი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
23:45	390	ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
23:45	391	ნიუელზი-ინსტიტუტო	1.75	3.20	3.80	1.13	1.19	1.73
		17 ნოემბერი						
22:10	387	არსენალი-ბოკა ხუნიორსი	3.20	3.10	2.00	1.57	1.23	1.21
23:45	389	კოლონი-როსარიო	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	394	რივერ პლეტი-სან ლორენსო	1.70	3.20	4.30	1.11	1.21	1.83
23:45	395	ტრო ფედერალარ ხუნიორი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
23:45	396	ველესი-ოლიმპო	1.50	3.60	5.00	1.05	1.15	2.09
		ბრაზილია						
		16 ნოემბერი						
23:45	407	ფლამენგო-ფორტალესა	1.70	3.30	4.00	1.12	1.19	1.80
23:45	408	პალმეირასი-ჟუვენტუდი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
23:45	409	გოიასი-სან პაულუ	1.70	3.30	4.00	1.12	1.19	1.80
23:45	410	ინტერნაციონალი-ბრაზილია	1.20	4.70	9.50	1.00	1.06	3.14
23:45	411	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	412	სანტოსი-პარანა	2.25	3.10	2.70	1.30	1.22	1.44
23:45	413	სან კაეტანო-კორინთიანსი	3.90	3.30	1.70	1.78	1.18	1.12
		17 ნოემბერი						
23:45	414	კურიტიბა-პონტე პრეტა	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
23:45	415	კრუზეირო-ატლეტიკო პრ	1.80	3.20	3.70	1.15	1.21	1.71
23:45	416	ფლუმინენსე-ატლეტიკო მნ	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
23:45	417	პაისანდუ-ბოტაფოგო	2.10	3.20	2.85	1.26	1.20	1.50
		მზ. შესარჩევი მატჩები						
		16 ნოემბერი						
13:00	447	ავსტრალია-ურუგვაი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
20:00	448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
22:15	449	თურქეთი-შვეიცარია	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
23:15	450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
23:15	451	სლოვაკეთი-ესპანეთი	3.00	3.10	2.25	1.52	1.28	1.30
		ამხანაგური მატჩები						
		15 ნოემბერი						
19:00	453	კამერუნი-მაროკო	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
23:45	455	ჩრდილოეთ ირლანდია-პორტუგალია	6.50	3.60	1.45	2.31	1.18	1.03
		16 ნოემბერი						
14:20	456	იაპონია-ანგოლა	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
15:00	457	სამხრეთ კორეა-სერბეთი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:00	458	კვიპროსი-უელსი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
19:00	459	ეგვიპტე-ტუნისი	2.20	3.00	3.10	1.26	1.28	1.52
23:15	461	საბერძნეთი-უნგრეთი	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06
23:45	463	იტალია-კოტ დიუარი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
23:45	464	მექსიკა -ბულგარეთი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
		ეზ. შესარჩევი მატჩები(21)						
		15 ნოემბერი						
21:00	465	გერმანია(21)-ჩეხეთი(21)	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
23:45	466	საფრანგეთი(21)-ინგლისი(21)	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
23:45	467	იტალია(21)-უნგრეთი(21)	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
		16 ნოემბერი						
17:00	468	ხორვატია(21)-სერბეთი(21)	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
22:00	469	დანია(21)-რუსეთი(21)	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
23:30	471	ბელგია(21)-უკრაინა(21)	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
		ინგლისი. თასი						
		15 ნოემბერი						
23:30	474	სკანთორპი-ბერი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
23:45	475	ჰეროგეითი-ტორკი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
23:45	476	დონსი-ლინკოლნი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	478	უოკინგი-საუთპორტი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	479	იოვილი-მაკლსფილდი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	488	რაშდენი-ჰალიფაქსი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
		16 ნოემბერი						
23:30	480	ჩესტერფილდი-ლეიტონი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
23:45	481	ბოსტონი-სუინდონი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
23:45	482	ბარტონი-პიტერბრო	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
23:45	483	ოქსფორდი-ისტბორნი	1.25	4.70	10.00	1.00	1.11	3.19
23:45	489	ოლდემი-ჩეისი	1.10	6.50	15.00	1.00	1.02	4.53
		ჰოკეი. შვედეთი						
		15 ნოემბერი						
22:00	549	ფრიოლუნდა-მოდო	1.35	4.50	4.80	1.03	1.05	2.32
22:00	550	სიოდერტელიე-იურგორდენი	1.90	4.00	2.60	1.28	1.09	1.57
22:00	551	ტიმრე-მორა	1.50	4.50	3.50	1.12	1.04	1.96
22:00	552	ბრიუნესი-ჰვ 71	2.50	4.00	1.90	1.53	1.07	1.28
22:00	553	ლინჩიოპინგი-ფერიესტადი	1.70	4.00	2.80	1.19	1.05	1.64
		ჰოკეი. გერმანია						
		15 ნოემბერი						
22:30	606	ინგოლშტადი-კასელი	1.30	4.50	4.30	1.00	1.00	2.19
22:30	607	დიუსელდორფი-დუისბურგი	1.35	4.40	4.20	1.03	1.02	2.14
22:30	608	მანჰაიმი-აისბარენი	1.80	4.30	2.50	1.26	1.04	1.58
22:30	609	ფრანკფურტი-კრეფელდი	1.70	4.20	2.85	1.21	1.06	1.69
22:30	610	ჰანოვერი-იზერლონი	1.40	4.50	3.80	1.06	1.02	2.06

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	611	ნიურნბერგი-კიოლნი	2.00	4.00	2.20	1.33	1.04	1.41
22:30	612	ჰამბურგი-აუგსბურგი	1.35	4.50	4.00	1.03	1.06	2.11
		ჰოკეი. შვეიცარია						
		15 ნოემბერი						
22:45	625	რაპერსვილი-სერვეტი	2.00	4.00	2.20	1.33	1.04	1.41
22:45	626	ამბრი-ფრიბურგი	1.70	4.00	2.80	1.19	1.05	1.64
22:45	627	კლოტენი-ცუგი	2.00	4.00	2.20	1.33	1.04	1.41
22:45	628	ლანგნაუ-ლუგანო	2.80	4.00	1.70	1.64	1.05	1.19
22:45	629	ციურიხი-დავოსი	2.00	4.00	2.05	1.33	1.01	1.35
22:45	630	ბერნი-ბაზელი	1.50	4.30	3.20	1.11	1.02	1.83
		ჰოკეი. რუსეთი						
		16 ნოემბერი						
15:00	642	ავანგარდი-აკ ბარსი	1.55	4.30	3.30	1.13	1.05	1.86
15:00	643	ხიმიკი-ნეფტეხიმიკი	1.55	4.40	3.30	1.14	1.05	1.88
15:00	644	დინამო-ცსკა	1.70	4.40	2.90	1.22	1.07	1.74
15:00	645	ვიტიაზი-სპარტაკი	2.70	4.30	1.70	1.65	1.04	1.21
15:00	646	მაგნიტოგორსკი-მოლოტი	1.06	4.50	6.00	1.00	1.00	2.57
15:00	647	სიბირი-ლადა	1.70	4.20	2.80	1.21	1.05	1.67
15:00	648	ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი	1.95	4.00	2.40	1.31	1.07	1.50
15:00	649	მვდ-ლოკომოტივი	3.30	4.30	1.55	1.86	1.05	1.13
		17 ნოემბერი						
15:00	650	ასკ-სევერსტალი	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56

ჩოგბურთი. კაცები. დნეპროპეტროვსკი

15 ნოემბერი

14:00	673	განესკუ-საბაუ	1.25 — 3.30
14:00	674	ბრაჩიალი-ვანგი	1.30 — 3.00
14:00	675	პაველი-ბერერი	1.40 — 2.50
14:00	676	ნორმანი-მარტინაკი	1.90 — 1.65
14:00	677	ბასტლი-მერტლი	1.55 — 2.30
14:00	678	ბურგსმიულერი-დლოუგი	1.70 — 1.90
14:00	679	ვასკე-ტაბარა	1.55 — 2.30
14:00	680	სტახოვსკი-ნავარო	1.20 — 3.50
14:00	681	სანჯინეტი-სლიუტერი	1.45 — 2.40
14:00	682	მინარი-ლედოვსკიხი	1.12 — 4.50
14:00	683	რუსედსკი-კუნიციხი	1.30 — 2.90

ჩოგბურთი

კაცები

ჰელსინკი

15 ნოემბერი

16:00	684	ალმაგრო-ვიკო	1.30 — 2.90
16:00	685	ბაგდატისი-მერეი	1.07 — 5.80
16:00	686	ბოგდანოვიჩი-რიდერსტედტი	1.50 — 2.40
16:00	687	ვასელსი-პაუკუ	1.10 — 5.50
16:00	688	დარსისი-ელსენერი	1.40 — 2.60
16:00	690	კოლშრაიბერი-ეიტზინგერი	1.30 — 2.90
16:00	691	პეკუერი-ბოზოლიაცი	1.60 — 2.90
16:00	692	სამერერი-ლოპესი მ	1.35 — 2.80
16:00	693	სიშონი-კუბეკი	1.70 — 1.90

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10447	ავსტრალია-ურუგვაი	2.60	2.00	3.40	1.13	1.47	1.25
10448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	2.50	2.00	3.55	1.11	1.46	1.27
10449	თურქეთი-შვეიცარია	2.10	2.00	4.60	1.02	1.44	1.39
10450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.75	2.10	6.50	1.00	1.37	1.58
10451	სლოვაკეთი-ესპანეთი	3.40	2.00	2.50	1.25	1.44	1.11

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11447	ავსტრალია-ურუგვაი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.00
11448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	3.10	10.00	20.00	4.00	4.40	5.00	20.00	10.00	5.30
11449	თურქეთი-შვეიცარია	2.40	10.00	20.00	3.50	4.50	8.00	20.00	10.00	8.00
11450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.75	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	9.00
11451	სლოვაკეთი-ესპანეთი	4.50	10.00	20.00	5.00	4.40	4.50	20.00	10.00	3.40

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

17447	ავსტრალია-ურუგვაი	1.85	1.95
17448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	1.85	1.95
17449	თურქეთი-შვეიცარია	1.85	1.95
17450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.85	1.95
17451	სლოვაკეთი-ესპანეთი	1.85	1.95

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

		კი	არა
13447	ავსტრალია-ურუგვაი	1.70	1.90
13448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	1.70	1.90
13449	თურქეთი-შვეიცარია	1.70	1.90
13450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.70	1.90
13451	სლოვაკეთი-ესპანეთი	1.90	1.70

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12447	ავსტრალია-ურუგვაი	1.60	2.00
12448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	1.60	2.00
12449	თურქეთი-შვეიცარია	1.70	1.90
12450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.70	1.90
12451	სლოვაკეთი-ესპანეთი	1.90	1.70

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15447	ავსტრალია-ურუგვაი	3.00	2.80	2.00
15448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15449	თურქეთი-შვეიცარია	3.00	2.80	2.00
15450	ჩეხეთი-ნორვეგია	3.00	2.80	2.00
15451	სლოვაკეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

14447	ავსტრალია-ურუგვაი	1.70	1.85
14448	ბაჰრეინი-ტრინიდადი	1.65	2.00
14449	თურქეთი-შვეიცარია	1.40	2.10
14450	ჩეხეთი-ნორვეგია	1.20	2.50
14451	სლოვაკეთი-ესპანეთი	2.00	1.65



ზაზა ფაჩულია

ფაჩულიას ატლანტური აპ-კარგი

სიენელები ბოისას კუკუდამალობანას ეთამაშებიან

გასული კვირის ყველაზე „ლეგიონერული" ამბავი ზაზა ფაჩულიას სარეკორდო მატჩი გახლდათ, რომელშიც „ატლანტა ჰოქსის" ქართველმა ცენტრმა ნბა-ური კარიერის საუკეთესო შედეგები აჩვენა.

ატლანტელები „ლოს ანჯელეს კლიპერსს" ეთამაშებოდნენ და, რა თქმა უნდა, დამარცხდნენ — მათ ხომ ამ სეზონის ყველა მატჩი დათმეს და აღორძინებულ „კლიპერსთანაც" თითქმის უშანსოდ იყვნენ. საკუთრივ „ატლანტას" გულშემატკივრებისა რა მოგასენოთ, მაგრამ ჩვენთვის ეს მატჩი საკმაოდ მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი გახლდათ.

ფაჩულიამ 16 ქულა ჩაუგდო კალიფორნიელებს და ეს გახლდათ მისი საუკეთესო შედეგი ორწლიან ნბა-ურ კარიერაში. ამასთანავე ზაზა სხვა პირად რეკორდებსაც მიუახლოვდა, გაიმეორა, თუმცა გაუმჯობესება ვერ შეძლო. 13 მოხსნა და 6 პასი ფაჩულიას ადრეც მოუხვეჭავს, თუმცა ყველაფერი ეს ერთად როდი მოუხერხებია.

ასე რომ, ფაჩულიამ საუკეთესო საენბიო მატჩი „კლიპერსის" წინაამდეგ ითამაშა. გასულ კვირაში მან კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარა, ერთში ორმაგი დუბლი შეასრულა და მეორეში ამ შედეგამდე კინკილა მოხსნა დააკლდა.

ისე, ისიც აღსანიშნავია, რომ გასული კვირა ფაჩულიას ავადმოსაგონრადაც ექნება. მისი „ატლანტა" ამ სეზონის ყველა მატჩში დამარცხდა და გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს გასულ შაბათს იყო, როცა „მემფისს" სტუმრობდა, თუმცა ფაჩულიას საბოლოოწუთოო შეცდომის გამო ქულით დამარცხდა.

ფაჩულიას ფონზე ნიკა ცქიტიშვილის ამბები მოსაყოლადაც არ ღირს. „სკიტას" „მინესოტაშიც" არ ენდობიან და ჯერ მატჩის განაცხადში დასამკვიდრებლად უწევს ბრძოლა.

ევროპელთაგან კი ბევრიც არაფერი ამბებია. ვლადიმერ ბოისამ ევროლიგაში ითამაშა და საკმაოდ კარგადაც, თუმცა იტალიის ჩემპიონატში სიენელები კვლავ არ ენდობიან.

ბოისამ სიენელებს ევროლიგაში „პარტიზანი" დაამარცხებინა, შედეგიანობით მხოლოდ თანაგუნდელ დუეინ ვუდვორდს ჩამორჩა, თუმცა სერია A-ში „ბოლონიასთან" განაცხადშიც არ ყოფილა.

მიზეზი ძველი და საპატიოა: „იტალიელებმა ბოისა რომ შეიძინეს, ეგონათ, სლოვენიური პასპორტი ექნებოდა, თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ მას ლოვენიელები დაემდურნენ და ისიც ქართული პასპორტის ამარა დარჩა. სერია A-ში სამი არაევროკავშირელის თამაშის უფლება აქვს თითოეულ გუნდს და სიენელებსაც ეს ლიმიტი ამერიკელებით შეავსეს.

გასული კვირის ბომბარდირი არაქართველი, თუმცა საქართველოს ნაკრების წევრი შემონდ უილიამსი გახლდათ. მან „ბარსელონაში" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა, როცა შიდაჩემპიონატში „ბილბაოს" 29 წუთში 20 ქულა ჩაუგდო. ევროლიგაში კი უილიამსი კვლავ მოკრძალებული იყო — უჩვეულოდ ცოტა, 7 ქულა მოიმკო.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
ვლადიმერ ბოისა	სიენა	ევროლიგა	პარტიზანი	შ	66:59	26	11	7	1
		სერია A	ბოლონია	ს	53:73	არ უთამაშია			
შემონდ უილიამსი	ბარსელონა	ევროლიგა	ეფესი	ს	63:66	36	7	3	5
		ესპანეთის ჩემპიონატი	ბილბაო	შ	81:57	29	20	3	3
დავით იმნაძე	პრეძევი	სლოვაკეთის ჩემპიონატი	კოშიცე	შ	61:80	7	4	0	0
გიორგი მამაცაშვილი	რასინგი	საფრანგეთის ჩემპიონატი	სტრასბურგი	ს	83:60	არ უთამაშია			
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგულარული ჩემპ.	ლეიკერსი	შ	97:103	30	13	9	1
			კლიპერსი	შ	95:102	38	16	13	6
			მემფისი	შ	84:85	35	10	12	1
ნიკა ცქიტიშვილი	მინესოტა	NBA რეგულარული ჩემპ.	ლეკერსი	შ	88:74	არ უთამაშია			

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჯეიმსმა ბრაიანტის რეკორდი დაამხო

13 ნოემბერი

ტორონტო 121:126 სიეტლი

ძირითადი დრო 117:117

ტორონტო: მ. ჯეიმსი (36 ქულა), ვილანუევა (26 ქულა, 12 მოხსნა), ბოში (21 ქულა, 11 მოხსნა)

სიეტლი: რ. ლუისი (41 ქულა, 8 მოხსნა), კოლინსონი (20 ქულა, 11 მოხსნა); რ. ალენი (19 ქულა)

ბოსტონი 102:82 ჰიუსტონი

ბოსტონი: ლაფრენცი (32 ქულა, 8 მოხსნა); პირსი (19 ქულა, 7 მოხსნა, 10 პასი); რ. დევისი (19 ქულა)

ჰიუსტონი: ვესლი (17); მაქგრეიდი (14 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი); იაო მინი (14 ქულა, 10 მოხსნა).

ფილადელფია 113:108 კლიპერსი

ფილადელფია: აივერსონი (28 ქულა, 10 პასი, 4 მოხსნა); ნეილონი (21); სალმონსი (14)

კლიპერსი: ბრენდი (32 ქულა, 11 მოხსნა), მობლი (23); მაგეტი (20 ქულა, 6 მოხსნა)

ორლანდო 100:108 კლივლენდი

ძირითადი დრო 88:88

ორლანდო: ფრენსისი (22 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი), ჰოვარდი (21 ქულა, 16 მოხსნა)

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (26 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი); ჰიუზი (22 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (20 ქულა, 5 მოხსნა)

დენვერი 102:91 მინესოტა

დენვერი: ენტონი (23 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი); კემბი (18 ქულა, 22 მოხსნა, 7 ბროკშოტი)

მინესოტა: გარნეტი (19 ქულა, 9 მოხსნა), შჩერბიაკი (20 ქულა)

ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო

საკრამენტო 95:105 ნიუ იორკი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31 ქულა, 8 მოხსნა), ბიბი (18 ქულა, 7 პასი)

ნიუ იორკი: ფრაი (19 ქულა, 6 მოხსნა), მარბერი (17 ქულა, 7 პასი), კარი (16 ქულა, 8 მოხსნა)

გუშინ ნიკოლოზ ცქიტიშვილის „მინესოტა" მის ყოფილ გუნდ „დენვერს" ესტუმრა. თუმცა ცქიტა არც ამჯერად იყო განაცხადში და შესაბამისად არც მოედანზე სათამაშოდ გასულა.

სამწუხაროა, რომ გუნდის გამოცვლის შემდეგაც ქართველ კალათბურთელს არა თუ ძირითადში, განაცხადში ანუ 12 კალათბურთელში მოხვედრაც კი უჭირს.

მატჩი კი მთლიანად მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. კენიონ მარტინის არყოფნისას მარკუს კემბი ირჯება დიდებულად. მის თამაშს მიმომხილველებმა დომინანტურიც კი უწოდეს — მან 18 ქულას 22 მოხსნა და 7 ბლოკშოტი მიაყოლა, ამას კარმელო ენტონიმ 23 ქულა დაამატა და მასპინძლებმაც ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე დაამარცხეს კევინ გარნეტის გუნდი.

თუმცა გუშინ ამაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა — ლებრონ ჯეიმსი ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა NBA-ს ისტორიაში, რომელმაც 4000 ქულის მოხვეჭა მოახერხა. ჯეიმსმა, რომელიც ამჟამად 20 წლისა და 318 დღისაა, ამით აჯობა კობი ბრაიანტს, რომელმაც იგივე 21 წლისა და 216 დღის ასაკში მოახერხა.

ლებრონს რეკორდისთვის მხოლოდ 10 ქულის დაგროვება სჭირდებოდა ორლანდოსთან შეხვედრაში და მან ეს პირველი მეოთხედის დამთავრებამდე მოახერხა.

„პირად რეკორდებსა და მიღწევებს მე ყურადღებას არ ვაქცევ — მთავარია, ბურთის კალათში მოთავსებით გუნდს მოვაგებინო" — თქვა ჯეიმსმა მატჩის შემდეგ.

თამაში კი კლივლენდმა ოვერტაიმში მოიგო და ამაში ჯეიმსის 26 ქულასთან ერთად „კავალერების" კიდევ ორმა ლიდერმა — წლეულს გადმოსულმა ლარი ჰიუზმა და ლიტველმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა — შეიტანეს დიდი წვლილი, რომლებიც გუნდს შესაბამისად 22 და 20 ქულა შესძინეს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ლარი ბრაუნის პირველი გამარჯვება თავის ახალ გუნდ „ნიუ იორკ ნიქსთან" ერთად. გასაოცარია, მაგრამ სეზონის პირველი მოგება ნიუ იორკმა არც თუ სუსტ „საკრამენტოსთან", თანაც გასვლაზე ჩაიწერა.

„ნიქსიდან" ახალბედა ფრაი და წელს ჩიკაგოდან გადმოყვანილი ცენტრი ედი კარი გამოირჩნენ. პეჯა სტოიაკოვიჩის 33 ქულა კი საკრამენტოს ვერაფერში დაეხმარა.

კახა ლომაშვილი

ლებრონ ჯეიმსი



რაფაელ ნადალმა თამაშზე უარი ბოლო მომენტში განაცხადა



როჯერ ფედერერი

AFP შანხაიდან

უფავორიტებიდ

მასტერსის თასი
შანხაი. ჩინეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 4 450 000 $

შანხაიში მასტერსის თასის გათამაშება დაიწყო. წლის ამ შემაჯამებელ ტურნირზე, როგორც წესი, 8 საუკეთესო ჩოგბურთელი იკრიბება.

მოგეხსენებათ, ეს ტურნირი განსხვავებული ფორმატით ტარდება — ჩოგბურთელები ორ ჯგუფში ნაწილდებიან და თითოეული მათგანი მინიმუმ სამ შეხვედრას ატარებს. ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული მოთამაშეები გადიან ნახევარფინალში, რომლის გამარჯვებულებიც ერთმანეთში გაარკვევენ ტურნირის ტრიუმფატორის ვინაობას.

თუმც წლეულს ტურნირმა ჯერ კიდევ დასაწყისამდე განიცადა რამდენიმე სერიოზული დანაკლისი. სხვადასხვა მიზეზების გამო თანამედროვეობის რამდენიმე გამოჩენილმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო შანხაიში ჩასვლა — მარატ საფინმა (მუხლის ტრავმის გამო), ენდი როდიკმა (ზურგის ტრავმა) და ლეიტონ ჰიუიტმა (ის და მისი მეუღლე ბავშვს ელოდებიან და ავსტრალიელმა უარი თქვა ჩინეთში გამგზავრებაზე). ყოველივე, ეს ცხადია, ტურნირისადმი ინტერესს გარკვეულწილად ანელებს.

საფინის მდგომარეობა კარგა ხნის წინ იყო ცნობილი — მას თავისი მუხლის ტრავმის გამო წლევანდელი ივლისის შემდეგ თითქმის არ უთამაშია, აი, როდიკისა და ჰიუიტის შესახებ კი ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი — ამიტომაც მათი ადგილები რეიტინგში მე-9 და მე-10 პოზიციებზე მყოფმა არგენტინელებმა — გასტონ გაუდიომ და დავიდ ნალბანდიანმა დაიკავეს.

ბოლო მომენტში ტურნირმა კიდევ ორი დიდი დანაკლისი განიცადა: რაფაელ ნადალმა (მარცხენა წვივის ტრავმის გამო) და ანდრე აგასიმ (მუხლის ტრავმის გამო) უარი თქვეს შანხაიში თამაშზე. ესპანელს არგენტინელი მარიანო პუერტა ჩაენაცვლა, ხოლო ამერიკელს — ჩილიელი ფერნანდო გონსალესი.

საბედნიეროდ, ტურნირისთვის გამოჯანმრთელება მოასწრო შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა, რომელსაც ქუსლის ტრავმის გამო ბოლო შვიდი კვირა გაუცდა. ასე რომ, ბოლო წლების უდავოდ საუკეთესო მოთამაშე ყველანაირად შეეცდება ტიტულის დაცვას.

წლევანდელ მასტერსის თასზე რამდენიმე დებიუტანტიც არის — პირველ რიგში რუსი ნიკოლაი დავიდენკო. შანხაიში მოხვედრა მან მთელი წლის განმავლობაში ნაჩვენები მეტად სტაბილური თამაშით გაინაღდა. ასევე ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში დიდებულად გამოიყურებოდა და მეტად საეჭვოა, რომ შანხაიში მხოლოდ სტატისტის როლით დაკმაყოფილდეს.

ჩოგბურთელები კი ჯგუფებში ასე განაწილდნენ:

წითელი ჯგუფი

1 როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1)
2 გილერმო კორია (არგენტინა, 4)
3 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 6)
4 დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 8)

ოქროს ჯგუფი

1 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 2)
2 გასტონ გაუდიო (არგენტინა, 3)
3 მარიანო პუერტა (არგენტინა, 5)
4 ფერნანდო გონსალესი (ჩილი, 7)

წითელი ჯგუფი

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 8) — 6:3 2:6 6:4

ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 6) — **გილერმო კორია** (არგენტინა, 4) — 6:2 6:3

წითელ ჯგუფში უკვე ჩატარდა პირველი თამაშები. პირველები შანხაის კორტებზე მასტერსის თასის ბოლო ორი წლის გაჰარჯვებული შვეიცარელი როჯერ ფედერერი და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი გავიდნენ.

ფედერერს აშკარად ეტყობოდა, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლია. მან თავისთვის მეტად უჩვეულოდ ბევრი უნებლიე შეცდომა დაუშვა, თუმც მიუხედავად ბევრი პრობლემისა, გამარჯვებას მაინც მიაღწია.

ფედერერმა კარგად დაიწყო თამაში და პირველი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო, თუმც მეორე პარტიაში ნალბანდიანი კარგად ათამაშდა, ფედერერს ორი ბრეიკი გაუკეთა და ვითარება კვლავ გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი არგენტინელის უპირატესობით დაიწყო. მოწინააღმდეგეს საწყის მოწოდებაზევე გაუკეთა ბრეიკი, რამაც ნალბანდიანი საბოლოო გამარჯვებას მიუახლოვა. მაგრამ ფედერერი პირველი ჩოგანი იმიტომ არის, რომ ის ნებისმიერ ვითარებაში სახიფათოა და მეტოქეს მინიმალურ შეცდომასაც არ პატიობს — არგენტინელმა ცოტა მოადუნა ყურადღება და ფედერერმაც ამით კარგად ისარგებლა, ტემპს მოუმატა და თამაშიც მოიგო.

„მან მე პატარა შანსი მომცა და, საბედნიეროდ, გამოვიყენე... კარგია, სამსეტიანი მატჩის თამაში რომ მომიწია, ვინაიდან რაც ბევრს ვითამაშებ, მით უფრო მოვუმატებ — ახლა პრაქტიკა ძალიან მჭირდება... დარწმუნებული ვარ, შემდეგ მატჩს უკეთესად ჩავატარებ“ — განაცხადა ფედერერმა მატჩის შემდეგ.

დღის მეორე მატჩში ივან ლიუბიჩიჩმა არანაირი შანსი არ დაუტოვა არგენტინელ გილერმო კორიას. ხორვატმა იოლად, ორ სეტში — 6:2 6:3 იმარჯვა და მასტერსის თასზე მშვენიერი დებიუტი მოიწყო.

აი, კორია კი მართლაც ცუდად გამოიყურებოდა არა მარტო ამ შეხვედრაში, არამედ მთლიანად სეზონის მეორე ნახევარში — უბრალოდ, ის ფიზიკურად არ არის მზად, რომ ასეთ მაღალ დონეზე ითამაშოს. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ ეგი გამოასწორებს თავაშის ხარისხს.

„კარგი თამაში ვაჩვენე, განსაკუთრებით პირველ სეტში... მაქსიმალურად ძლიერად ვურტყამდი კორია სწრაფია, მაგრამ არა ბურთზე სწრაფი. ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც დაგეგმილი მქონდა“, — თქვა გახარებულმა ლიუბიჩიჩმა.

ამელის კარიერის აპოთეოზი

მასტერსის თასი
ლოს ანჯელესი. აშშ
მაგარსაფარი
საპრიზო 3 000 000 $

ფინალი

ამელი მორესმო (საფრანგეთი) — **მარი პირსი** (საფრანგეთი) — 5:7 7:6 6:4

მაშ ასე, ამელი მორესმომ თანამემამულე მარი პირსის დამარცხებით კარიერის უმთავრესი გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ მორესმო უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც ჩოგბურთის ელიტაში შედის, მას აქამდე ამ დონის ტურნირი არასოდეს მოუგია, ეს კი ლოს ანჯელესში გამარჯვებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ფინალი მართლაც ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა და 3 საათსა და 6 წუთს გასტანა. ინიციატივას ხან ერთი ჩოგბურთელი ფლობდა, ხანაც მეორე. ეს იყო უკიდურესად თანაბარი თამაში. ვერც ერთმა ჩოგბურთელმა, თუნდაც რომელიმე კონკრეტული სეტის განმავლობაში, ვერ მოახერხა მოწინააღმდეგისთვის თავისი თამაში მოეხვია თავს. ასეთ მატჩში გადამწყვეტი მოტივაცია აღმოჩნდა — ამ ფინალს მორესომსთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

თანაბარი თამაშის გადამწყვეტ მომენტად მეთერთმეტე გეიმი იქცა, როცა პირსმა მოახერხა მორესმოს მოწოდების აღება, შემდეგ თავისიც მიაყოლა და საწყისი პარტიაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი უკვე მორესმოს უპირატესობით დაიწყო და ის მალევე დაწინაურდა ანგარიშით 4:1, თუმც ამის შემდეგ უპირატესობა ისევ პირსის მხარეს გადავიდა და მან მალე შესძლო ანგარიშის გათანაბრება. ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა მოიგეს თავიანთი მოწოდებები და საქმეც ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც მორესმო უფრო აქტიური იყო, პირსმა კი მხოლოდ სამი ქულის აღება მოახერხა. ასე რომ, ანგარიში პარტიებში გათანაბრდა.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ჩოგბურთელებმა თავიდანვე გაცვალეს ბრეიკები, რის შემდეგაც მაქსიმალურად დაკვირვებით თამაშობდნენ თავიანთ მოწოდებებზე. გადამწყვეტი მომენტი აქ მეცხრე გეიმში დადგა, როცა მორესმომ შეძლო და აიღო პირსის მოწოდება. ბევრს ეგონა, რომ ამელი მალე მოათავებდა საქმეს, მაგრამ პირსი ასე სულაც არ ფიქრობდა. მან მორესმოს მოწოდებაზე სამი ბრეკ-პოინტი გაახერხა, 0:40 დაწინაურდა და თამაში თითქოს კიდევ უნდა გაწელილიყო, მაგრამ ამის შემდეგ პირსმა ზედიზედ 3 უნებლიე შეცდომა (სულ 49 მატჩის განმავლობაში) დაუშვა და თამაშის უკანასკნელი გეიმი ფაქტობრივად ჩააბარა მორესმოს.

მატჩის დასრულების შემდეგ მორესმოს უჭირდა ემოციების შეკავება:

„ეს მართლაც ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ასევე საუკეთესო და ყველაზე ემოციური მომენტია ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მეამაყება, რომ ასეთი რიუული თამაში მოვიგე. ეს კიდევ ერთი და დიდი ნაბიჯია ჩემს კარიერაში. დიდებული შეგრძნებაა“.

26 წლის მორესმომ ამ გამარჯვებით რეიტინგში მე-3 საფეხურზე აიწია და მხოლოდ ლინდსი დეივენპორტი და კიმ კლაისტერსი უსწრებენ. მორესმო პირველი ფრანგი ჩოგბურთელია, რომელმაც მასტერსის თასის მოგება მოახერხა. ამასთან, ფრანგმა 1 მილიონი დოლარიც შეივსო თავისი ანგარიში.

რაც შეეხება პირსს, მან მარიელაც დიდებული სეზონი ჩაატარა — ალბათ საუკეთესო, თავისი კარიერის განმავლობაში. იგი წლეულს „დიდი მუზარადის“ ორი ტურნირის — საფრანგეთისა და აშშ-ს ღია პირველობების ფინალებში გავიდა, თუმც ორჯერვე წააგო. მიუხედავად ყველაფრისა, 30 წლის ფრანგი არ აპირებს ჩოგბურთიდან წასვლას და აცხადებს, რომ შემდეგი სეზონისთვის უკეთ მოემზადება.

„ყველა წაგება საწყენია, მაგრამ ასეთ მატჩში დამარცხება — ორმაგად... ამ სეზონმა, განსაკუთრებით კი ამ კვირამ (ლოს ანჯელესში) თავის გამოსვლას გულისხმობს) დამატებითი მოტივაცია გამიჩინა საიმისოდ, რომ მომავლისთვის უკეთ მოვემზადო... ამელიმ მართლაც კარგად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

კახა ლომაშვილი

ამელი მორესმო

AFP ლოს ანჯელესიდან

ზვიადაური რუსეთში მკურნალობს


ზურაბ ზვიადაური

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური მოსკოვშია. ორი დღის წინ ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის საავადმყოფოში მენისკის ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით ათი დღე იქვე იმკურნალებს.

„ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა — გვითხრა გუშინ საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — იგი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტისა და რუსეთის ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა სერგეი მირონოვმა პირადად ჩაატარა. მანამდე ჩვენს მიერ გაგზავნილ სურათებსაც გაეცნო და ზურაბს მენისკის გარდა მთელ სახსარზე უმკურნალა. მირონოვთან ყოველდღიური სატელეფონო კონტაქტი მაქვს და ბოლო ინფორმაციით, ზვიადაურს 10 დღეში გამოწერენ. შეიძლებოდა, უფრო ადრეც გამოეშვათ, მაგრამ ჩაქცევები აღმოუჩინეს და მათ ბოლომდე ჩაცხრომას ელიან".

ოლიმპიური ჩემპიონის გზისა და კვების ხარჯებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" დაფარავს.

შეგახსენებთ, რომ ამ კომპანიამ ზვიადაურს შარშან ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის თანახმადაც მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე ყველანაირ სამედიცინო დახმარებას უფასოდ ჩაუტარებს.

წინასწარი ინფორმაციით, რუსმა მედიკოსებმა ოპერაცია უანგაროდ ჩაატარეს, თუმც თუ რამე შეიცვალა, საქმეში აქაც „ალდაგი" ჩაერევა.

კახაბრიშვილის თქმით, ზვიადაური თბილისში საავადმყოფოდან გამოწერისთანავე დაბრუნდება და სარეაბილიტაციო კურსს საქართველოში გაივლის. წლის ბოლომდე ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშებსაც მოახერხებს, ხალიჩას კი იანვრიდან დაუბრუნდება.

ოთარ მაღლაკელიძე



დღეს არსენმა უნდა აწიოს

ყატარის დედაქალაქ დოჰაში ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატი გახურებულა. საქართველოს ნაკრების სახელით რომ მხოლოდ ერთი სპორტსმენი, არსენ კასაბიევი გამოვა, ადრეც გაცნობეთ. ახალგაზრდათა შორის ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი ფიცარნაგზე დღეს გავა.

ძალოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანო გრიქუროვის თქმით, არსენი საამტურნიროდ მშვენივრადაა მომზადებული, მაგრამ ყატარში წასვლამდე ვარჯიშისას მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და გრიქუროვიც შეფიქრიანებული ჩანდა, მეშინია, რისკი ტრავმის ფასად არ დაგვიჯდესო.

კასაბიევის გამოსვლას მწვრთნელის გარდა ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძეც დარბაზიდან უყურებს. იგი დოჰაში თავისი წონის ძალოსანთა გამოსვლასაც აკვირდება; ფიცარნაგზე დაბრუნებას კი მომავალი სეზონიდან აპირებს.

ოთარ მაღლაკელიძე

ნახევრად წარმატებული დღე

პეკინში მიმდინარე კრივის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ ოთხი წონის სპორტსმენები გამოვიდნენ. ზოგმა პირველი, ზოგმაც მეორე წრის შეხვედრები ჩაატარა.

რინგზე ორი ჩვენებურიც გავიდა. 57 კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველი ეტაპის გადამლახავი კობა ფხაკაძე ბულგარელ ალექსეი შაიდულინთან დამარცხდა და ლევან ღვამიჩავას (64კგ) შემდეგ მეორე ჩვენებური გახდა, მედლისთვის ბრძოლას რომ გამოეთიშა.

ბექა ლობჟანიძისთვის (91კგ) კი გუშინდელი დღე გაცილებით იღბლიანი აღმოჩნდა. მან სამხრეთკორეელ იუნგ ეუ ჩანს 21:8 აჯობა და მეორე წრეში ადგილგანაღდებულ კახა ჟვანიასა (69კგ) და ანატოლი ქავთარაძეს (75კგ) შეუერთდა.

ტურნირის მიმომხილველი ერთადერთი ვებ-გვერდის გადამკიდე, გუშინ გვიან ღამემდე ვერაფრით მოვახერხეთ დღევანდელი შეხვედრების კალენდრის დაზუსტება. მეორე წრეში გასული სამეულის გარდა საგულშემატკივრო კიდევ ოთხი ქართველი გვრჩება. ზვიად ხადური (48კგ), ნიკოლოზ იზორია (51კგ), კონსტანტინე კუპატაძე (60კგ) და დავით წიკლაური (81კგ) საქმეში ჯერ არ ჩართულან.

ოთარ მაღლაკელიძე

ვიტალი კლიჩკო: დავბრუნდები, თუ ლუისიც დაბრუნდება

შესაძლოა ვიტალი კლიჩკო, რომელმაც რამდენიმე დღის წინ პროფესიული კრივის მიტოვების შესახებ განაცხადა, კვლავ დაუბრუნდეს რინგს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ იგივეს გადაწყვეტს ლეგენდარული ინგლისელი ლენოქს ლუისი.

8 ნოემბერს სპორტული მედიცინის განყოფილების დირექტორმა ლილ ელტრეიჯენმა ვიტალი კლიჩკოს ჯანმრთელობა გამოიკვლია, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოკრივემ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. გამოკვლევას საათნახევრიანი ოპერაცია მოჰყვა.

„ბოლო დროს მეტ დროს ტრავმებთან ბრძოლაში ვატარებდი, ვიდრე მოკრივეთა წინააღმდეგ. პროფესიულ კრივში უმაღლეს შედეგებს მივაღწიე და მინდა, კარიერა გამარჯვებულმა დავტოვო. მომავალში ვფიქრობ მთლიანად მივუძღვნა ჩემი თავი უკრაინის სოციალურ-საზოგადოებრივი პროექტების რეალიზებას".

აი, კლიჩკო უფროსი ასე გამოეთხოვა დიდ სპორტს, მაგრამ, ეტყობა, დროებით.

თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა არ გამორიცხა რინგზე თავისი დაბრუნება.

„არასოდეს თქვა, „არასოდეს!" მე ასე ვიტყოდი, რომ ეს შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ ახლა უაბ-


ვიტალი კლიჩკო

რუნება ნაკლებ სარწმუნოდ მესახება. დავბრუნდები, თუ ლენოქს ლუისიც დაბრუნდება და ჩემთან ბრძოლას დათანხმდება. ის ერთადერთი მეტოქეა, რომელიც ნამდვილად მჭირდება" — თქვა კლიჩკომ.

ლუისი, რა თქმა უნდა, არ დაბრუნდება, მაგრამ თავად კლიჩკომ რომ აზრი გამოიცვალოს, ამაში დაუჯერებელი არაფერია. მეტიც, ვიტალი კლიჩკოს კოლეგები ფიქრობენ, რომ მისი ტრავმა ეშმაკობა იყო საიმისოდ, რომ ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლისთვის თავი აერიდებინა. აი, როცა ყოველივე ამის თაობაზე ხმაური მინავლდება, მაშინ შესაძლებელი იქნება რინგზე კლიჩკოს დაბრუნება. მეორეს მხრივ, ეს ახალი ამბავი უკრაინელი მოკრივის ავტორიტეტს სრულებითაც არაფერს არგებს.

ვიტალის თქმით, მას ტრავმა არაფრით მისცემდა საშუალებას, რომ რაჰმანთან თანაბრად ებრძოლა. რინგზე დაშავებული მუხლით ასვლა მხოლოდ იმისთვის, რომ ბრძოლა წაეგო, მაგრამ, სამაგიეროდ, 8 მილიონი დოლარი მიეღო, ამას უფროსი კლიჩკო მიუღებელ ვარიანტად თვლის.

„ექიმმა მითხრა, რომ რინგზე ასეთი დაშავებული მუხლით მხოლოდ ერთ რაუნდს თუ გავძლებდი. ამას გარდა, მე მაქვს პრინციპები და სრულებითაც არ ვფიქრობ მათ გაყიდვას 8 მილიონ დოლარადაც კი" — თქვა კლიჩკომ.

მძიმე წონაში საყოველთაოდ აღიარებული ახალი ჩემპიონის კანდიდატურის თაობაზე კლიჩკომ თქვა:

„ყველა კანდიდატი ძალზე ძლიერი მოკრივეა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩემ ძმა ვლადიმერს შეუძლია გახდეს პირველი. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მისი პოტენციალი ჩემზე მეტია. მას შეუძლია გახდეს ნამდვილი ჩემპიონი".

ავთანდილ ჟუჟუნაშვილი

გერმანელი გლდანში

სასიამოვნოა, რომ არაერთი ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემის მიუხედავად, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია მაინც ახერხებს აქტიურ საქმიანობას.

ამჯერად საერთაშორისო კონტაქტი გვაქვს მხედველობაში. რამდენიმე დღეა, რაც თბილისში იმყოფება გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ბერჰარდ მიულერი. მისი საქართველოში ჩამოსვლა მოხდა ჩვენი კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, იდეა კი მინისტრის მოადგილეს, ყოფილ ხელბურთელ თამაზ თევზაძეს ეკუთვნის. ჰერ ბერჰარდ ხუთი წლის განმავლობაში გერმანიის ქალთა ნაკრებს წინამძღოლობდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს პრიზიორობაც მოაპოვებინა.

ერთი სიტყვით, ბატონი მიულერი ამჟამად საქართველოშია და გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიურ ცენტრში ჩვენს მწვრთნელებს თეორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებს. სტუმარი კიდევ ერთ კვირას დარჩება ჩვენთან და ფოთსა და ყვარელშიც წარმართავს საჩვენებელ. ვარჯიშებს.

ამ დღეებში სწორედ იმ ქალაქებში გაიმართება 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს პირველობის მეორე ტური და ყველა მწვრთნელიც იქ მოიყრის თავს.

გლდანში კი ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ჩატარდა. სამწუხაროდ, უფულობის გამო თბილისამდე ვერ ჩამოაღწია წყალტუბოს გუნდმა.

ლიდერ-მასპინძელმა თბილისის „მართვემ“ ამჯერადაც დამაჯერებლად სძლია მეტოქეებს და უდანაკარგოდ ლიდერობს.

ვითარება	ორი	წრის	შედეგ		
მართვე	6	0	0	177:77	12
ფოთი	4	0	2	145:114	8
ქუთაისი	2	0	4	94:137	4
წყალტუბო	0	0	6	38:126	0

ბომბარდირთა შორის 48 გოლით წინაა თბილისელი ფორვარდი ვიკა ვეშაგური, მას სამი ბურთით ჩამორჩება თანაგუნდელი მარიეტა ბაინდურაშვილი, შემდეგ მოდიან ფოთელი ირმა შონია, თბილისელი ინა ჭკუასელი და ქუთაისელი მაია თავაძე.

გია ახალაძე

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XVI ეტაპი. ავსტრალია. 355,0 კმ

იანვარში, მონტე კარლოში შეხვედრამდე

უცნაურად წარიმართა და სენსაციურად დასრულდა წლევანდელი, რიგით 27-ე სარალე ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი.

ისე, ავსტრალიაში ცოტაღა რჩებოდა გასარკვევი, რადგან ჩემპიონები ორივე, ეკიპაჟ-გუნდურ ჩათვლაში ვადამდე იყვნენ გარკვეულები. ერთადერთი, სავიცეპრიზიორო საკითხიღა იყო ღია — მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონებს, პეტერ სოლბერგს და მარკუს გრონჰოლმსს, ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. ასე რომ, სავერცხლოდ მათ შორის დიდი ომი იყო მოსალოდნელი, თუმც მწვანე კონტინენტზე ორივეს უქულოდ დარჩენის შემთხვევაში ვიც-ჩემპიონი სოლბერგი გახდებოდა სეზონში ერთით მეტი დიდი პრიზის მოგების ხარჯზე.



AFP ჟურნალიდან

დიუვალმა სეზონი კარიერაში პირველი მოგებით დაასვენა

დასავლეთ ავსტრალიის მთავარქალაქ პერტის შემოგარენში იმდენი დავიდარაბა მოხდა, ნახევარ ჩემპიონატს მაინც ეყოფოდა. ხუმრობაა, სტარტზე გასული ოთხივე მსოფლიოს ტრიუმფატორი გამოეთიშა ბრძოლას.

თავიდან მივყვეთ. რბოლა სეზონის ლიდერმა სებასტიენ ლოებმა გახსნა და მისი დროც კონკურენტებისთვის ორიენტირი გახდა. ზედიზედ მეორედ ტიტულგანაღდებულ მეტოქეს აგრესიულად მიეძალა სოლბერგი და დასაწყისშივე ხუთწამიანი უპირატესობით ჩამოიტოვა. მერე პეტერის თანასუბარელი, პერტის მიწიან, სრიალა გზებზე „გაზრდილი“ კრის ატკინსონი დაწინაურდა, მაგრამ საჭის პრობლემების გამო სისწრაფე და ლიდერობა დაკარგა, თუმც ბოლომდე მედგრად იბრძოლა და შერემონტებული მანქანით სამდღიურის ბოლოს მეოთხე ადგილზე გავიდა.

კურიოზული ფათერაკი შეემთხვა ორგზის ჩემპიონ გრონჰოლმს. ფინელის „პეჟოს“ წინა მარჯვენა ბორბლის ღერძი გაუტყდა, რის გამოც ეკიპაჟი ჩქაროსნული უბნის მერე ქალაქის ქუჩებში ძლივსღა მიბობღავდა, რომ როგორმე სერვის-პარკამდე მიეღწია, მაგრამ გზაზე პოლიციამ გააჩერა, რადგან ფრანგულმა „ლომმა“ ავარიული ვითარება შექმნა. ეპიპაჟი იძულებული გახდა იქვე გამოეცვალა ბორბალი, მაგრამ ორასამდე მეტრის გავლის შემდეგ საბურავი ნაფლეთებად იქცა და სუმოელთა, გრონჰოლმ-რაუტიაინენის ტანდემი ბრინჯაოს პრიზიორობას დასჯერდა.

ისევ დაწინაურებულ სოლბერგს გამარჯვება ლამის ჯიბეში ედო, მაგრამ, როგორი ამბავია, ტრასაზე გადმომხტარ კენგურუს შეეჯახა, „სუბარუს“ რადიატორი დაუზიანდა და ამგვარი სამწუხარო მიზეზით „თამაშგარეთ“ აღმოჩნდა.

წლეულს სარეკორდო, აი ეტაპის მომგები ლოები პირველად შეცდა — არცთუ რთულ მოსახვევში ვერ „ჩაეტია“ და გზისპირა ხეები მიამტვრია.

სასიამოვნოა, რომ რალის უბრუნდება ორგზის ჩემპიონი კოლინ მაკრეი. 36 წლის შოტლანდიელმა ავსტრალიაში „შკოდათი“ შშეუნივრად გაიჯირითა და სამდღიანი მარათონის ბოლომდე სამეულში მიდიოდა, მაგრამ ფინიშის წინ მის ბედაურს სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა. მეჯანიკოსებმა ბლოკის გამოცვლა ვერ მოასწრეს და მაკრეი საერთოდ უქულოდ დარჩა.

2006 წლის ჩემპიონატი ტრადიციულად იანვარში, მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი)	3სთ;	19.55,0
2	ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი)	ჩამორჩა	52,9
3	მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი)		1.33,0
4	კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ)		1.39,0
5	ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი)		3.04,4
6	რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი)		3.09,0
7	დანიელ სოლა (ესპანეთი, ფორდი)		6.17,4
8	არმინ შვარცი (გერმანია, შკოდა)		8.04,3

საბოლოო ვითარება

1 სებასტიენ ლოები — დანიელ ელენა (სიტროენი) 127 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი — ფილ მილსი (სუბარუ) 71; 3 მარკუს გრონჰოლმი — ტიმო რაუტიაინენი (ფინეთი, პეჟო) 71; 4 ტონი გარდმაისტერი — იაკე ჰონკანენი (ფინეთი, ფორდი) 58; 5 მარკო მარტინი — მაიკლ პარკი (პეჟო) 53; 6 ფრანსუა დიუვალი — სვენ სმიტსი (ბელგია, სიტროენი) 47; 7 ჰარი როვანპერა — რისტო პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბისი) 39; 8 რომან კრესტა — იან ტომანეკი (ჩეხეთი, ფორდი) 29; 9 მანფრედ შტოლი — ლიკა მინორი (ავსტრია, სიტროენი) 22; 10 მიკო ჰირვონენი — იუჰა ლეჰტინენი (ფინეთი, ფორდი) 14; 11 ჯანლუიჯი გალი — გვიდო დამორე (იტალია, მიცუბისი) 14

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 188 ქულა, პეჟო 135, ფორდი 104, სუბარუ 97, მიცუბისი 76, შკოდა 21

AFP ჟურნალიდან

კოლინ მაკრეის „შკოდამ“ ბოლომდე ვერ იფრინა

NHL რეგულარული ჩემპიონატი



ალექსანდრ ფროლოვი, მაიკ კამარელი და კრეიგ კონროი — ამ სამეულმა კოლუმბუსს 7 შაიბა გაუტანა

კოლუმბუსის ვაი და უი ფროლოვ — კონროისაგან

13 ნოემბერი

ანაჰაიმი 1:3 დალასი

0:2 0:1 1:0

0:1 ბუშე (14), 0:2 ლეჰტინენი (15), 0:3 გერინი (27), 1:3 ჰედსტრიომი (48)

კოლუმბუსი 2:8 ლოს ანჯელესი

0:5 1:2 1:1

0:1 კონროი (2), 0:2 ფროლოვი (5), 0:3 ფროლოვი (6), 0:4 ფროლოვი (13), 0:5 კონროი (18), 1:5 მარჩანტი (25), 1:6 ბელანჟე (37), 1:7 კამალერი (39), 1:8 კონროი (52), 2:8 ჩიმერა (57)

ორიოდე წლის წინათ ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, მაგრამ რაც წესები შეიცვალა, ერთ თამაშში შესრულებული რამდენიმე ჰეთ თრიქი ან ერთი ჰოკეისტის მიერ ზედიზედ გატანილი სამითოთხი შაიბა უკვე ნორმად იქცა.

„კოლუმბუსისა“ და „ლოს ანჯელესის“ თამაშშიც გაილაღეს სტუმართა ფორვარდებმა. ჯერ ალექსანდრ ფროლოვმა მიჯრით სამი შაიბა გაიტანა, თანაც ყველანაირ ვითარებაში: რიცხვმრავლობაში, თანაბარ შემადგენლობებში, ბოლოს კი უმცირესობაშიც.

რუსს მისსავე სამეულში მოთამაშე კრეიგ კონროიმაც მიჰბაძა და ჰეთ თრიქი მიითვალა. თან ერთმანეთს შეუწყეს ხელი გატანაში და პასებიც არ დაამატეს. მათ მესამე პარტნიორს ტრიოში, პავლ დემიტრას კი 4 საგოლე პასი დაუგროვდა.

„ასეა ჰოკეი, ზოგჯერ არანაკლები შემართებით თამაშობ და მხოლოდ ერთ შაიბას გაიტან, ზოგჯერ კი ასეთი შედეგიანობით გამოირჩევი“ — თქვა ნამატჩევს კონროიმ.

ჩიკაგო 3:1 ედმონტონი

3:0 0:1 0:0

1:0 კიტი (11), 2:0 ბელი (14), 3:0 ბელი (16), 3:1 პიზანი (28)

ვანკუვერი 4:1 დეტროიტი

2:1 2:0 0:0

0:1 დაციუკი (6), 1:1 ბერტუცი (11), 2:1 ბერტუცი (16), 3:1 კარტერი (25), 4:1 ბერტუცი (36)

კვირის თამაშები ორი ლოსანჯელესელის ჰეთ თრიქით როდი შემოიფარგლა. ვანკუვერელი ტოდ ბერტუცი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ თანდათან ჩვეულ ფორმაში დგება და ამის დასტური მისი „დეტროიტთან“ შესრულებული ჰეთ თრიქია.

სამველ ღარიბიანი

რაბ ალ ხალი



სამიროთა ჩელინჯი არაბეთის უდაბნოში გრძელდება. სერგეი რიშეტნიკოვის და აიდარ ბელიაევის „კამაზი“ იმ ადგილიდან ამოსვლას ლამობს, რომელსაც ბედუინები რაბ ალ ხალის, ანუ ცარიელ კრატერს უწოდებენ.



ბერსის დარბაზში

პარიზის ბერსის დარბაზში მოტ-ფრისტაილია გახურებული. მოტ-გიმნასტები წარმოუდგენელ რამეებს სჩადიან და დიდი მცოდნე უნდა იყო, რომ მჯობნის მჯობნი გამოარჩიო.

ტირილი და ჯანი

ტირის კანადელი ელიზაბეთ ჯინ ლასენი, ვინც ვერ ასწია თავისი კილოგრამები. რუს ოლგა კისილიოვას კი ჯანმა არ უმტყუნა და მესამე ადგილიც დაიჭირა 64 კილოგრამამდე წონის ქალ ძალოსანთა შორის. მსოფლიოს ჩემპიონატი კი დოჰაში მიმდინარეობს.



ნაიჯელ, ძველო...

ულვაში მოუპარსია და მაინც მაგარია. ფორმულა ერთის ძველი ჩემპიონი, ნაიჯელ მენსელი კვლავაც აშხეფებს შამპანურს. მან იოჰანესბურგში ვეტერანთა მასტერსი მოიგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაჩუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge